


ლიტერატურული გაზეთი

№13(197) 30 ივნისი - 13 ივლისი 2017

ბამოღის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი



მრგვალი მაგიდა

- ზღაპრის ფენომენი, მისი დაფარული არსი და მნიშვნელობა
- ზღაპრის გმირების მითოსური წარმომავლობა
- ზღაპრისა და მითის სტრუქტურები
- ქართული ზღაპრების გმირები
- ზღაპრის თხრობის ტრადიციები

ზურაბ კიკნაძე, რუსუდან ჩოლოყაშვილი, ვასო გულაური, თამარ იაშვილი





* — აჰა, გავხედოვდი ლაპარაკს მე, მტვერმა და ნაცარმა, და ათი კარგი მკითხველი რომ აღმოჩნდეს ამ ქალაქში?
— არ დავწვავ მე წიგნებს არც იმ ათი მკითხველის გამო, — თქვა მწერალმა.

*
ამ ჩემს რამდენიმე ასეულ სიტყვას, ხან კრიტიკულ წერილად ვაწყობ, ხან ლიტერატურულ ესეად ვშლი, ხანაც მხატვრულ პროზად ვალაგებ (ლექსის წერისგან დამიფარა შემოქმედმა). ვაღიარებ, რომ ამდენ ხანს ბავშვსაც კი მოსწყინდებოდა ასეთი მარტივი თამაში...

*
აზრი რომ გამოინასკვება გინდა ლექსად, გინდა მოთხრობად, გინდა რაგინდა რად, მერე რამდენი სულის ბერვა სჭირდება, რომ ნაადრევად არ მოსწყდეს ყუნწს, ანდა ზედ არ შეახმეს ხეს...

*
წიგნი მშვენიერი სამალავია ტექსტებისთვის. განსაკუთრებით მაშინ, თუ ავტორს მათი კითხვა მოწყენილი აქვს...

*
იცხოვრე ისე, თითქოს წიგნს კითხულობდე, ყოველი დღე ახლადგადაშლილი ფურცელია...

*
სიტყვები ისეთი უმნიშვნელონი როდი(და) არიან, როგორც იხილი თავს გვაჩვენებენ (მათ ხომ თავიანთი ისტორია აქვთ). სწორედ ამის გათვალისწინება გვმართებს, როდესაც მათი საშუალებით რაიმე აზრის ჩამოყალიბებას ვცდილობთ.

*
ზედმეტად გამხატვრულების სურვილიც აფუჭებს ლექსს. ზოგიერთი მეტაფორა კი სპილენძის ტაშტზე დანის წვერივით ფხაჭნის გულს...

*
თვით ყველაზე ტირანული და ტოტალიტარული სახელმწიფოც კი ვერ მოუძებნიდა თანამედროვე ქართულ მწერლობას მიზეზს, რომ ის განსხვავებული აზრისთვის ან სიმართლის თქმისთვის დაესაჯა...

*
მხოლოდ დამწყები პროზაიკოსები ეძებენ ორიგინალურ სიუჟეტს...

*
პოეტი თავისი ლექსების კრებულის გვერდით დაკრეფვლ ბალსა ჰგავს...

*
ლექსში ყველა სტრიქონი პოეზია ვერ იქნება, მაგრამ უნდა იყოს...

*
ჩვენში სატრფიალო პოეზიის ნაკლიც ისაა, ლექსი ათეულობით მკითხველისთვის იწერება და არა ერთისთვის...

*
ჩემი მოვალეობაა ვამტკიცო, რომ ლიტერატურა არც ლატარეაა და არც სპორტული თამაში (სადაც ბურთი მრგვალია), რომ ამით მწერლის (პოეტის), თუნდაც დროებით წარუმატებლობას რაიმე გამართლება მოეძებნოს.

*
მგონია, რომ შემოქმედებითი ნიჭი ზამბარის პრინციპით მუშაობს. მისი პოტენციური ენერჯია სწორედ შეზღუდვაში ვლინდება. შემოქმედებითი პროცესის არსი კი ასე შეგვიძლია ჩამოვყალიბოთ:

ეს არის თავისუფალი ინდივიდის მოქმედება არათავისუფალ გარემოში...

*
დაუფერებელია, მაგრამ ძალიან ლამაზი სტრიქონის და მეტაფორების მიღმაც ხშირად ადამიანის ხარბი გული და მომხვეჭელი ბუნება დგას. სამწუხაროა, რომ პოეზია (ზოგადად) ამ მხრივ არაფრით ავალდებულებს მის შემოქმედს.

*
ზოგიერთი ვერლიბრს ვერაფერს გაუგებს და პროზააო — დაიჩემებს. ზოგი ანეგდოტს ვერ გაიმეტებს დასავიწყებლად და ისიც პროზასთან დაიცლის ხელს... ესკიზი, ეტიუდი, ჩანახატი, პორტრეტი, ნარკვევიც ხომ, დიდი ხანია, პრო-

გია არგანაშვილი ლიტერატურული ტექსტების ბარათ დარჩენილი აზრები



ზას შეეფარენ და არხინადაც გრძობენ იქ თავს. უნუგეშო მდგომარეობა ჩვენს თანამედროვე პროზაში და ასე დარჩება, ვიდრე მას გულმემატიკივარი პატრონი არ გამოუჩნდება, რომელიც პროზის მორღვეულ საზღვრებს აღადგენს და ჟანრდაკარგულ ტექსტებს თავთავიანთ ადგილს მიუჩენს.

*
„ქართული ლირიკის ანთოლოგია“ (შემდგენელი ირაკლი კენჭოშვილი), რომელიც 1765 - 1825 წლებს შუალედს მოიცავს, ასზე მეტი ავტორის შემოქმედებას აერთიანებს. მათგან დღევანდელ მკითხველს მხოლოდ ათიოდე პოეტის სახელი თუ ეცნობა.
გულისხმა ჰყავით, მეგობარნო! ამაოება ამაოებათა, ყოველივე ამაოა.

*
უკვე მერამდენე წელია „ლიტერატურულ პერსონაჟთა საძიებელზე“ ვმუშაობ და ლიტერატურული საქართველოს ამ პირველმა სტატისტიკურმა აღწერილობამ რამდენიმე ჩემთვის მნიშვნელოვანი დასკვნის საშუალება მომცა:

პერსონაჟთა ხასიათის კვლევა უფრო თვალსაჩინოს ხდის ქართული ლიტერატურის ერთიანი და უწყვეტი მაგისტრალური ხაზის არსებობას, რომელიც იმავდროულად ნაციონალური კულტურის მემკვიდრეობითობის უდავო ფაქტს ადასტურებს.

პერსონაჟთა შედარებითი ანალიზი აჩენს ქართული ლიტერატურის მუდმივ კავშირს მსოფლიო ლიტერატურასთან. ადასტურებს რა ბიბლიური, მითოლოგიური და ანტიკური პერსონაჟების სიმრავლეს, რითაც ერთნაირად ხასიათდება, როგორც ძველი, ისე ახალი და უახლესი პერიოდის ჩვენი ლიტერატურა.

აქაც, ისევე, როგორც რეალურ ცხოვრებაში, აშკარად იკვეთება „დემოგრაფიული საფრთხის“ (პერსონაჟთა სიმცირის) ნიშნები. სიტუაცია აშკარად გაუარესდა უკანასკნელი ოცდახუთი წლის განმავლობაში.

ლიტერატურული საქართველოს საზღვრების გამოსაჩენად საკმარისია

ერთდროულად, ერთ ვექტორზე ხევის-ბერი გორჩასა და ბეკინა სამანიშვილის წარმოდგენა. სწორედ ეს ორი ბერიკაცი ქმნის ქართული პროზის უსაზღვრებო სივრცეს.
ამგვარი კვლევები უკეთ აჩენს ზოგიერთი მიმართულებით ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების ჩამორჩენილობას, რომლის დასაძლევად ლიტერატურული ტექსტების (პირველ რიგში, კლასიკურ ტექსტებს ვგულისხმობ) არამატერიალური კულტურის მემკვიდრეობის ძეგლებად აღიარება და მათი გადაუდებელი პასპორტიზაციის დაწყება მესახება.

*
ერის „ტინის“ მაგნიტო-რეზონანსული ტომოგრაფიის ყველაზე ზუსტ სურათს ენა იძლევა...

დიდ აზრობრივ განსხვავებას ვერც რუსთაველის გაჰგულავნდით („რამონანი შესაპყრობლად მომწიენით, გაჰგულავანდით...“) და დღევანდელ გაგულავნდით შორის ვხედავ. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა ამ სიტყვების ეტიმოლოგია მათ სხვადასხვა წარმომავლობაზე მიანიშნებდეს (რამიც მე ეჭვი მეპარება).

*
ალექსანდრე ორბელიანი თავის „მოგონებაში“ კრწანისის ომზე მამამისს ათქმევინებს „...მე და ჩემს დას ეკატერინეს გარეჯელებისთვის რომ შემოგვეძახა: მეფე ერეკლეს უჭირს, მივვეშველენითო, მთელი გარეჯობა მოიგლიჯებოდა სამი ათასი ცხენიანი მეომარი და მაშინ ნახავდა თავის ყოფას ალა-მამად ხანი.“

და თუ რატომ არ მოიგლიჯა სამი ათასი ცხენიანი გარეჯელი ერეკლეს დასახმარებლად, ეს სხვა საქმეა. თუმცა ახლა ამ ჟარგონმა (მოიგლიჯებოდა) უფრო დამაინტერესა.

ორი საუკუნის შემდეგ დღევანდელი ქართველი ამ აზრს (ისევე ჟარგონით) ასე იტყობდა, მოიხეოდაო (მთელი გარეჯი მოიხეოდაო) და ეს იქნებოდა შესანიშნავი მაგალითი იმისა, რომ ენა მდინარესავით მუდამ თავის კალაპოტს მიუყვება, ხან იწმინდება, ხან იმღვრება და ხანაც ჩვენს მოთხოვნაზეც ტალახავით ამოისვრის ჟარგონს. ხან თუ მოიგლიჯებოდა და ხანაც მოიხეოდა.

*
როგორც უნდა გაუშინაურდეს დღევანდელი მწერალი თუ პუბლიცისტი ალექსანდრე ორბელიანის (პუპლიას) სახელს, მისთვის ბაბუას დაძახება მაინც ზედმეტი მეჩვენება. ახალს თუ ვერაფერს იტყვი მის შესახებ, მხოლოდ ამ სიტყვის (ბაბუას) თანამედროვე ცხოვრებაში და ლიტერატურაში დამკვიდრების მიზნით არ უნდა შევანუხოთ მისი სული. მით უფრო, თუ ამგვარი დაჟინებული მცდელობის მიღმა მხოლოდ ღირებულებათა ისტორიულ-კულტურული ვექტორის ხელოვნურად შეცვლის სურვილი იკითხება.

*
დღევანდელ ჩვენს ენაში პაპა-ბაბუას დაპირისპირება ბევრად უფრო სიმბოლური მეჩვენება, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. ამიტომ ვთავაზობდი მათი მორიგების გზას, დაგვეტოვებინა პაპა (მამის მამა) თავის უფლებებში და საზღვრებში და დედის მამისთვის მიგვეკუთვნებინა ბაბუა. ამით ენასაც გაავადიდებდით, მშვენიერ სიტყვებს (მამა-პაპანი, პაპიდა) შევინარჩუნებთ და ნამდვილ ბაბუასაც (დედის მამას) დაუყვედრებლად დავეუკანონებდით თავის სახელს.

*
რომ ვუკვირდები, ერთი ცუდი კაცის მიერ გამოგონილს ჰგავს ზღაპარი გრიგოლ ორბელიანის პოეზიის სიმძიმისა და აკაკი წერეთლის პოეზიის სიმსუბუქის შესახებ.

*
ისე, ვიდრე აკაკი წერეთლის მიერ გრიგოლ ორბელიანის წინააღმდეგ წამოწყებული ბრძოლის ნამდვილ მიზეზებს არ გამოვიკვლევთ, ძნელია მათ შორის ობიექტური პოზიციის დაჭერა. მე რამდენჯერმე ვცადავ ეს, მაგრამ გამიჭირდა ამ ორი პოეტის მსოფლმხედველობრივი პოზიციების მშვიდობიანი დაახლოვება. არადა, აუცილებელი მეჩვენება ამის გაკეთება, ქართული ლიტერატურის ერთიანი სხეული რომ არ დანაწევრდეს.


*
გრიგოლ ორბელიანის ლექსები საძირკვლის პოეზიაა. ის იმდენად ორგანულია ამ „სახლისთვის“, რომ გგონია, სწორედ მისი კარნახით „რბის და ღრიალებს“ თერგი, მისი სურვილით „...ყაზიბეგს...ზედა ვარსკვლავი დანათის“, მისი ბრძანებით იშლება „თამარის დროშა“ და „სხვა საქართველოც“ მხოლოდ იმიტომ არ არის არსად, რომ ავტორმა ინება ასე...

*
ამგვარი ლიტერატურული კონკურსის შესახებ მეცხრამეტე საუკუნეშიც არავის სმენია. არც იმდროინდელი პრესა იტყობინება ამის შესახებ, არც მოგონებებში ჩანს მასზე ინფორმაცია. იქნებ, არც ჩვენ უნდა დაგვეჩვენებინა, ისტორიული პოემის ჟანრში ნამდვილად გამარჯვებული ტექსტი რომ არ შემოეინახა ლიტერატურის ისტორიას.

დაიხ, მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს, ისტორიული პოემის არშემდგარ კონკურსზე გამარჯვებულად აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავი“ გამოცხადდა.

*
ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანსა“ და „ვეფხისტყაოსნის“ ავთანდილის „ანდერძს“ შორის მკვლევარები ბევრ საერთოს პოულობენ. მე კი მგონია, რომ ეს შთაბეჭდილება ზედაპირულ მსგავსებას უფრო ეფუძნება. პოეტის (ნიკოლოზ ბარათაშვილის) ტრაგიზმი კი სწორედ „ავთანდილობაში“ (დონისური სიბრძნის არქონაშია) საძებნი, რომლის საჭიროებას თვითონ ბარათაშვილიც ერთ-ერთ თავის წერილში აშკარად გამოხატავს („კაცი მჭირდება, რომ ამ კლდე-ღრიდან გამიყვანოს...“). ჩემი აზრით, ბარათაშვილის საიუბილეო წელს ეს ერთ-ერთი მთავარი სადავო საკითხი გახდება და ვინძლო ამ დავამ ქემ-მარიტ აზრამდე მიგვიყვანოს.

*
დღეს ილიას დაბადების დღე ყოფილა! ალბათ, ამან გამახსენა კიდევ ერთი საჭირობოტო და წყვეკარულიანი საკითხავი ამ უთავბოლო და უსწორმასწორო წუთისოფლისა, რომელიც ილია ჭავჭავაძემ „ოთარანთ ქერივის“ ფინალში შემოგვთავაზა.
გახსოვთ, ალბათ, ოთარანთ ქერივის უკანასკნელ ჭირისუფლად დამდგარ და



უწონდ ფეხებში გაბლანდულ სოსია მენისკელებს ვილაყამ ღონივრად რომ გაპკრა ნიხლი და გაბრაზებულმა ც დააყოლა: ნადი, იქით გაეთრიე...

ისიც გახსოვთ, ბერკაცი რომ დაინუნუნებს — ცოდო ვარ, შვილო, ცოდოო! და ავტორიც, ნუგეშის მაგივრად, ცივად გაეპასუხება: სხვა ვინ არ არის ცოდო?

ჰოდა, ამ საკითხზე ნაწილობრივ მკითხველის ინტუიცია, ნაწილობრივ კი ილიას შემოქმედების ანალიზი მკარნახობს ერთ მნიშვნელოვან აღმოჩენას, რომელიც დღეს მინდა გაგიმხილოთ:

ის ნიხლი, სოსია მენისკელებს რომ მოხვდა, თვითონ ავტორს ეკუთვნის.

*

„ორი რამ ავსებს ჩემს სულს საკვირველებით: ვარსკვლავებით მოჭედელი ცა ჩემს ზემოთ და მორალური კანონი ჩემში“ — იმანუელ კანტი.

„რაც უნდა სთქვათ, ყველაზე მეტად ღმერთი უხდება ზეცასა“ — ვაჟა-ფშაველა.

ეს ორი აფორიზმი იმის სამაგალითოდ მოვიყვანე, რომ არც ერთი საკაცობრიო დონის მოვლენა აზროვნებაში არ დარჩენია ჩვენს ლიტერატურას შემოქმედელი და არ დაუტოვებია ის გამოხმაურების გარეშე...

*

„...არ არის წინასწარმეტყველი პატივის გარეშე, თუ არა თავის მამულში და თავის სახლში“ (მათე. 13. 57).

ვაჟა-ფშაველას ძმას ბაჩანას (ნიკოლოზ რაზიკაშვილს), თავადაც კარგ პოეტს და მგოსანს, სიცოცხლის ბოლომდე უჭირდა თავისი ძმის (ლუკას) განსაკუთრებული ნიჭის აღიარება და დაფასება. მან ვაჟას სიკვდილის შემდეგ 12-13 წელი კიდევ იცხოვრა და როდესაც ვინმე ეტყოდა, შენი ძმა ვაჟა გენიოსიაო, სიცოცხლით კვდებოდა: „ვინა, კაცო, ლუკა, ჩვენი ლუკაა გენიოსი?!“ და ხითხითებდა და ხითხითებდა თავადაც მშვენიერი ლექსების და პოემების ავტორი...

P.S. გამომცემლობებს ვურჩევ, რომ დაინტერესდნენ ბაჩანას შემოქმედებით. დარწმუნებული ვარ, თუ კარგ შემდგენელს იპოვნინან, გამოცემა კომერციულადაც მომგებიანი გახდება.

*

ალექსანდრე ყაზბეგის პიროვნული და შემოქმედებითი ბედისწერა ქართველი ერის საკუთარ კულტურასთან გაუცხოვებამ განსაზღვრა. სამწუხაროდ, ეს პროცესი ჩვენს ლიტერატურაში დღესაც შეუქცევადია...

*

ბოლო ხანს ჩვენმა ლიტერატურულმა მღვრიე დინებამ ლადო ასათიანის „კრწანისის ყაყაჩოები“ მოიგონა ზედაპირზე და ნაფოტივით აქეთ-იქით ახეთქებს. ამ პოპულარულ ტექსტზე ჯერ ლევან ბერძენიშვილმა ჩამოაგდო დავა, „მკვდრადმოხილი ლექსიაო“. ამას ბევრი არ დაეთანხმა (ბევრი შეიძლება დაეთანხმა კიდევ) და ბოლოს პაატა ჩხეიძე გამოსარჩალა პოეტის შემოქმედებას („ლიტერატურული გაზეთი“ №194). მისი აზრით, ლევან ბერძენიშვილმა ამ ლექსში პატრიოტიზმი დაუნუნა ლადო ასათიანს, რადგან „...ლექსის ფრაზა, „გაუმადლარო ომიოთა“, ლიბერალ დემოკრატიული თვალსაზრისით, mauvais ton-ია, main stream-ში არ თავსდება, არაკორექტულია“.

თვითონ პაატა ჩხეიძე კი თვლის, რომ „...შიშის დაძლევის ჟინი და მოწოდებაა ამ ლექსში. დამარცხებულ, დათრგუნულ, დაბეჩავებულ ქართველებს მოუწოდებს: ნუ დაძაბუნდებით! აი, ამ, დამარცხებული, მაგრამ, დაუმორჩილებელი „ომით გაუმადლარი“ ვაჟების შთამომავლები ვართო.

მე ორივე ლიტერატორს საკმაოდ დიდ პატივს ვცემ საიმისოდ, რომ მათ კამათში ასე უცერემონიოდ არ ჩავერიო (მით უფრო, რომ მათი პოზიციები ამ ლექსის მიმართ დაშორებულია ერთმანეთისგან). უბრალოდ, ვიტყვი, რომ განხეთქილების ვაშლად ქცეული ეს ფრაზა (გაუმადლარო ომიოთა) ავტორს (ლადო ასათიანს) არ ეკუთვნის. მან ამ ლექსში სწორედ სამასი

არაგველის მშობლიურ კუთხეში (მთიულეთში) იმ პერიოდში გაჩენილი ხალხური ლექსით (ვერსიონი, რომ ეს ლექსიც სამასი არაგველის გმირობის გამოძახილია) ისარგებლა, რომელიც ეს ფრაზა — „გაუმადლარო ომიოთა“ — ამგვარ კონტექსტში იკითხება:

„ოსო, გუდუნით ნაზარდო, შე იმერელო, ღომითა, სანყალო არაგვის კაცო, გაუმადლარო ომიოთა“.

ამ ლექსში მწირი მამულის პატრონი და საეჭვო სოციალური სტატუსის მქონე, სულ მუდამ ომში მყოფი „სანყალი არაგველი“ მწარედ დასცინის საკუთარ უბედობას... აი, მისი მეზობლები გუდუნით და ღომით იკვებებიან, თვითონ კი „საძლომად“ მარტო ომი და სისხლისღვრა დაუნუნესა უსამართლო დრომ თუ განგებამ.

მგონი, ამ „ომით გაუმადლობაში“ ადვილად იკითხება მთქმელის დაუფარავი ირონია (უფრო კი თვითირონია) და თუ ეს განწყობა ამ ფრაზას ლადო ასათიანის ლექსშიც გადაჰყვა, მაშინ სრულიად სხვანაირად მოგვიწვევს მისი ნაკითხვა.

შთაბეჭდილებას გაგიძლიერებს თუ ლექსის მეორე სტრიქონში — „თქვენს საფლავებთან მოსვლა და მუხლის მოდრეკა მომინდა“ — ავტორის მხრიდან პატივის სურვილს ამოვიკითხავთ და არა რაღაც გაურკვეველ სიხარულის თუ სიამაყის განცდას, რომელსაც ჩვენთვის თავგანწირული ადამიანების ხსოვნა იწვევს ჩვენში.

მკითხველს კი შევახსენებ, რომ ის პატარა თემი, რომელმაც კრწანისის ველზე სამასი თავდადებული გლეხი გააგზავნა, სულ რაღაც რვა-ცხრა წლის შემდეგ ისევ სრულიად მარტოდმარტო ჩაება რუსეთის იმპერიასთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში (მთიულეთის აჯანყება 1804).

ამჯერად უფრო შორს არ გავყვები ლადო ასათიანის ამ ლექსს. ცხადია, რომ ის იმსახურებს უფრო მეტ ჩაღრმავებას. და თუ პატივცემული ლიტერატორები ოდესმე კიდევ დაუბრუნდებიან მის განხილვას, იმედია, ამ მოსახრებასაც გაითვალისწინებენ, რაც კრწანისის ომის თემას საყოველღაო პატრიოტიზმის სფეროდან ეთიკური ნორმების და ზნეობრივ ღირებულებათა სივრცეში გადაიტანს საანალიზოდ.

*

არის რაღაც ამბულელებელი და დიდებული დევნილი ადამიანის სასონარკვეთილებამდე მისულ ძალისხმევაში. გურამის სიტყვები (გურამ რჩეულიშვილი „ალავერდობა“): „იმათთვის ილოცე, დედი, მე ჩემს თავს თვითონ მივხედავ...“ საუკეთესო ნუგეშია სწორედ თავგანწირული მხედრის (ძალზე მნიშვნელოვანია, რომ გურამი უცხენოდაც ცხენით გარბის) სულისკვეთებისთვის.

რაც უნდა ბევრი ვწეროთ და ვისაუბროთ გურამ რჩეულიშვილზე, მაინც არ გტოვებს იმის განცდა, რომ ჩვენი განათლებული თაობა მზად არ აღმოჩნდა (გამბედაობა არ ეყო), თავისი სახელი დაერქმია იმ ლიტერატურულ-ესთეტიკური მოვლენისთვის, რომელსაც მკითხველი გურამ რჩეულიშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებას ეძახის.

როგორც ჩანს, ეს ტვირთიც (როგორც ბევრი სხვა რამ) მომავალ თაობას დაანვება ვალდებულებად.

მოვა თაობა, რომელიც გურამის ცხოვრების ხიბლისგან თავს დაიხსნის და შეძლებს მისი შემოქმედების დამოუკიდებლად შეფასებას.

ჯერ კი ისევ გურამი ებრძვის გურამს!

*

შოთა ჩანტლაძეს თავის დღიურში ჩაუწერია: „იყავი ორიგინალური ადამიანი, თუნდაც სულელი, ოღონდ ნუ იქნები ჩვეულებრივი ადამიანი“.

შოთა ჩანტლაძის ამ ჩანაწერს ძალიან გვიან გავეცანი, თუმცა ადრეც რომ ნამეკითხა, ეჭვი მეპარება, ჩემთვის ძალზე საინტერესო პოეტის ცხოვრებისეული კრედიტ გამეზიარებინა და ცხოვრების მიზნად გამეხადა, რადგან ამ აზრის საპირისპიროდ ყოველთვის „ჩვეულებრივ“ ადამიანს ვუნევედი რეკლამას. გენიალურ ადამიანებშიც ყოველთვის ჩვეულებრივი ადამიანის თვისებების პოვნას ვცდილობ-

დი („ჩვეულებრივი ვაჟა-ფშაველა“). ამისთვის ვიმონებდი სახარებისეულ იგავებს, ხალხურ ფოლკლორს, როგორც შემდეგ ვარწმუნებდი მკითხველს, რომ ჩვეულებრივობაში უფრო ნათლად ჩანდა ღვთის სული.

ჩემს ამ გატაცებას თითქმის ყოველთვის (ბოლო წლებში კი განსაკუთრებით) ერლომ ახვლედიანის სწავლება კვებავდა, „იცხოვრო ისე, თითქოს არა ხარ. ფეხაკრეფით გაიარო ეს ცხოვრება, თითქოს ვილაცა სიძნავს და არ უნდა გააღვიძო. უსმინო ღვთისგან შექმნილ სამყაროს, ადამიანს. ამაზე დიდი საქმიანობა მე არ მეგულება.“

ახლა ვხვდები, რომ ეს ორი რადიკალურად სხვადასხვა ადამიანური ბუნება და შესაბამისად ორი გზა ჩვენს ლიტერატურაში მაინც საერთო მიზნისკენ მიდის. და როდესაც ახალგაზრდა თაობას არჩევანის გაკეთება მოუწევს, უნდა იცოდეს, რომ ორივე ბილიკი ბოლომდე გაკვალებულია.

*

ვინ როგორ ფიქრობს, არ ვიცი, მაგრამ მე ნუგზარ შატაძეს იმ ლიტერატურული სკოლის მეთაურად ვთვლი, რომლის უკანასკნელი „კუსადამთავრებული“ თვითონ იყო.

ამიტომ არის, რომ შემოქმედებაში ქართული ენა თავის თინას ლეკურს ცეკვავს.

ნუგზარი იყო ერთადერთი პროფესიონალი მწერალი, რომელსაც არასოდეს შეშინებია თანაბარ პირობებში კონკურენციის და ამის გამო უარი არასოდეს უთქვამს ლიტერატურულ კონკურსში მონაწილეობაზე და თითქმის არასოდეს დამარცხებულა.

*

აი, კიდევ ერთი გადაუწყვეტელი პრობლემა, რომლისთვისაც იძულებული ვარ, გურამ დოჩანაშვილის ერთი პერსონაჟის მსგავსად მეც სიტყვების უწყინარი თამაში შემოგთავაზოთ:

— აბა, დაფიქრდით და მითხარით, რამდენპირიანი ზმანაა — ალუდგინა?! — ვეკითხები ჩემს უკვდავ ხელმძღვანელს.

— სამპირიანი, — დაუფიქრებლად (ცოტა გაბრაზებულიც) მპასუხობს ხელმძღვანელი, — ალუდგინა მან, მას, ის (ვთქვათ, სიცოცხლე).

— მართალია, მაგრამ თუ სუბიექტი საკუთარ თავს დაეხმარა და თვითონ აღიდგინა სიცოცხლე... ამას როგორ გამოვხატავთ?!

— ალუდგინა მან საკუთარ თავს სიცოცხლე.

— უფრო მოკლედ, — არ ვეშვები

— აღიდგინა სიცოცხლე...

— კიდევ უფრო მოკლედ?!

— აღიდგინა...

— სიცოცხლე სად წავიდა? ერთი სიტყვით უნდა სთქვა, ისე, რომ ჩანდეს კაცმა საკუთარ თავს სიცოცხლე აღიდგინა. კაცმა სიცოცხლე აღიდგინა, ის...

— აჰ, ერთი სიტყვით შეუძლებელია, — ისევ მინყრება ხელმძღვანელი.

— ის აღსდგა.

— აღდგა?

— არა, არა. აღსდგა! მართალია, ზმანამ მესამე ობიექტური პირი დაკარგა, მაგრამ პირის ნიშანი შეინარჩუნა. სწორედ იმის გამოსახატავად, რომ ეს ქმედება, აქტი (აღდგომა), რომლის აღწერასაც ჩვენ ვცდილობთ, თავისი შინაარსით არის ერთადერთი, განუმეორებელი და კაცობრიობის ისტორიაში მომხდარი ყველაზე დიდი სასწაული (თვითაღდგენა, თვითაღდგომა). ჩვენ კი უნდა გვიხაროდეს, რომ იმ დროს ქართული ენა მზად აღმოჩნდა ამგვარი განსაკუთრებული შემთხვევისთვის, გამოამჟღავნა რა ცოცხალი ენისთვის დამახასიათებელი შემოქმედებითი უნარი, გამოაჩინა საკუთარ წიაღში არსებული ფორმა (ასევე ერთჯერადი და განუმეორებელი — აღსდგა), რომელიც ყველანაირ გრამატიკულ ნორმაზე და კანონზე მაღლა დააყენა...

— მაშ, აღსდგა, არა? — უკვე მუქარა ისმის ხელმძღვანელის ხმაში. ოღონდ, ვერ ვხვდები ჩემზე ბრაზობს თუ მასზე (ვინც ნამდვილად აღსდგა). ამიტომ, არ ვიმჩნევ. — დიახ, დიახ, ჭეშმარიტად აღსდგა!

P.S. ცხადია, ჩამოლაბორანტება არ ამცდება. თუმცა რას ვკარგავ...

*

კიდევ ერთი საინტერესო და სულით ხორცამდე ქართული ამბავი.

გამოდის ნამდვილი ლიტერატურით და ლიტერატურაზე ფიქრით დამძიმებული ქართული „ლიტერატურული გაზეთის“ კიდევ ერთი რიგითი ნომერი და თითქოს ისევ წყალში იყრება რედაქციის თანამშრომელთა შრომა და ავტორების, ვინ იცის, რამდენი ხნის ნაფიქრ-ნაღვანი. ამ ელექტრონულ სივრცეში, სადაც ერთი სიტყვის, კომენტარის ან რეპლიკის გამოცემა დიდ შრომასა და გარჯას არ მოითხოვს, სრული „სიჩუმეა“, სრული სიცარიელეა. გგონია, რომ არავინ არაფერს კითხულობს, ან მკითხველი საერთოდ აღარ არსებობს. ანდა კითხულობენ კიდევ, მაგრამ სიტყვას გაზიოც ვერ ამოაძრობ. არადა, გადახედავ სხვა თემებს, გვერდებს და მართლაც გაზაფხულის ნიაღვარივით მიედინება ერთმანეთის ლანძღვა-გინების მდინარე. ხედავ, გაზეთის მკითხველიც იქ არის, ამჟამად მისი თვალი და ყური მხოლოდ ნეგატივზეა გამეცადინებული. მტრისა და ავის ამბავიც არ გამოეპარება, არ გამოორჩება და ისე არ მოხდება, რომ ერთი ეშმაკის ქვა თვითონაც არ ისროლოს, ან ცილისწამებლური სიტყვა არ შეანოს, ცეცხლზე ნავთი არ დაასხას და არ ააბრი-ალოს განუკითხაობის ის კოცონი, რომელიც დღეს თუ ხვალ ყველას მიწვდება...

*

არ ენდოთ ინტერნეტში განთავსებულ ლიტერატურულ ტექსტებს. აუცილებლად გადაამოწმეთ და შეუდარეთ ის ბეჭდურ ვარიანტს. წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენ ხელს შეუწყობთ არა უბრალოდ კორექტურის ან გრამატიკული შეცდომების, არამედ მთლიანი ტექსტის დარღვეული კომპოზიციის, დაკარგული სტრიქონების, დამახინჯებული აზრების გავრცელებას...





*
 იცვლება ამინდი.
 ქარები ავდებიან.
 ვიდრე მოძალადე
 გრიგალს ემალები,
 თვალწინ ისევ უხმოდ
 ჭალარავდებიან
 ლურჯი ქარაფები,
 მწვანე მწვერვალები.

მოდის სუსხიანი
 თეთრი ბარბაროსი,
 დარდის მდინარეობა
 ისევ წყალუხვია —
 შენი სიყვარულის
 უცხო ავგაროზი
 დაუნყვეტია და
 თავქვე ნაულია.

მორჩა!
 ზემები
 წარსულს ბარდებიან,
 კიდევ რამდენია
 თურმე მოსასწრები.
 თოვლში თავდახრილი
 ირგვლივ ვარდებია
 ჭკნობაშეპარული
 ზამთრის მონაზვნები.

იცვლება ამინდი.
 ქარები ავდებიან.
 გელის ყრმობის სახლი —
 წარსული, კარლია.
 ყინვით შეაბჯრული
 დღეები ღამდებიან
 და ვერცხლის ნალების
 წკრიალით გარბიან.

გახსოვდეს

ნუ გადავიწყებ ბრწყინვალე ზემებს,
 მაგრამ მწუხარების დღეებიც გახსოვდეს,
 იმ ფეიერვერკებს და იმ თვალის სეირებს,
 იმ საბედისწერო ცეცხლსა და გასროლებს.

სიცოცხლე გახვრეტილ გროშად რომ ფასობდეს,
 უფალს შეავედრე ქვეყნისთვის მოზარე,
 ბოროტს და ავაზაკს, მტერსა და მოყვარეს
 დრო როგორ ცხრილავდა, გახსოვდეს, გახსოვდეს.

ნუ გადავიწყებ ჩქქმას და გალიფეს,
 საკნებს და ჯურღმულებს —
 სიკვდილის ყალიბებს,
 სიკეთის სახელით მკვლელებს და ბარიგებს
 ჟამი აიძულებთ, კედელთან ჩარიგდნენ.

გახსოვდეს რაც იყო ანდა რაც იქნება,
 ჭირსა და ქორწილებს, ლხინსა და ღრეობებს,
 ითოვებს, ინვიმებს, მზე ამობრწყინდება,
 ვით განვლილ გაკვეთილს, დრო გაიმეორებს.

გახსოვდეს, ლალატის ჟანგი თუ მოედო,
 მოვლენ თაობები, აღარ მოითმენენ —
 სცენაზე ამოვა თვითმკვლეელი პოეტი
 და თავს აიფეთქებს უწყინარ რითმებზე.

რად უნდა ტყვია ან შაჰიდის ქამარი,
 მის მსხვერპლს რა ერქმევა, თამთა თუ თამარი,
 სულაც არ იდარდებს,
 სიცოცხლის ბორკილი
 ნამსხვერველად თუ იქცა სტრიქონთა ტროტილით.

სონეტებს მსმენელის ცრემლებში გადაცვლის
 და ვიდრე მოასწრებ იკითხო — საითკენ?
 რომელი ქალაქის სასწრაფო დაიტევს
 უმწეო ლექსებით დაჭრილს და გარდაცვლილს.

გახსოვდეს მინაზე იკვილებს შოლტივით
 მკაცრი მეტაფორა — სიკვდილის მოტივი.

გახსოვდეს ნათელზე ძველი მოთარეშე,
 ეშმაკის უმადურ გონების წყვილია.
 გახსოვდეს სინდისის და ქენჯნის გარეშე
 სამშობლოს ვინც შხამის ფიალას მიაწვდის.

გახსოვდეს, რაც უნდა გახსოვდეს და ისიც,
 ღირსი დავიწყების რაც იყო, რაც არის,
 ვიდრე ჩამოგყვებლეს სიცოცხლის დაისი
 და ნახვალ, როგორც ქარს მიჰყვება ნაცარი.

ნითელი ხალიჩა

ესეც ხალიჩა!
 ნითლად ხასხასა,
 მთავარი ქუჩა რომ გადახაზა,



ვანო ჩხიკვაძე

თავმიდებული მორთულ პარმალზე,
 როგორც ნარბენი ძაღლი — ქასქასებს.

ხალიჩის გასწვრივ ბოლთას სცემს კენტად
 სმოკინგიანი მთავარი დენდი.
 როდის გაივლის პირველი ლედი —
 ელის მაკრატელს გაბმული ლენტი —
 არ აუფეთქონ კაბის ქვეშ დენთი,
 იცავს ხალიჩას მცველების ბრენდი.

თავს ვერ აფარებს ჩიტიც, ნაცარა,
 ხეებს ტოტები ისე შეკორტნეს,
 სიცხე აბრუებს დიდს და პატარას,
 ჰალსტუხიანს თუ ჩაჭრილ დეკოლტეს.

ლოდინით უნდა გადავიღალოთ,
 დარბის წესრიგის მცველი ფიგარო,
 მოესურვილა, ალბათ, ქალბატონს,
 ქვეშევრდომებზე ჯავრი იყაროს.

— ეჰ, რა უბრალო გოგო იყავი,
 მაგრამ კონკიას ახდა იგავი,
 დრო შეიცვალა —
 გელის ხალიჩა
 ვით განოლილი ვეფხვი, მბდღვინავი.

თუმცა ქვეყანა ნახდა, გაბაზრდა,
 შენი ცხოვრება უცებ, ანაზად,
 გამშვნიერდა და გალამაზდა —
 დადექ თავიდან სუფთა დაფასთან.

შავი ჯიპების დაგდევს კორტეჟი,
 ყველგან სამოთხის ღია კარი ჩანს.
 შენთვის მღერიან ტრიოც, ოქტეტიც,
 შენს საამებლად შლიან ხალიჩას...

ამღვრეულ დროის კაკაფონია
 ამოვების ჯურღმულში ტენის,
 ვინც ხელის თრთოლვით წმენდდა ფოლიანტს,
 ვისაც ახრჩობდა ნიგნების მტვერი.

ერთი შეხედვე, ეს სალახანა,
 ხალიჩასთან ვინ შემოაპარა,
 გააზიარებს ყველა საიტი,
 თუ სამათხოვროდ ხელსაც გაინვდის.

უფრო სულელი ვინა გყავთ, აბა,
 უკან მახათი, ყურებში ბამბა,
 ისე ნახდა, რომ აღარ თაკილობს,
 ხელი გამოჰკრას თქვენს დაყრილ ნაგავს.

ახლა ისეთი გიდგათ ამინდი,
 გიჟიც უნოდოთ, თქვენი რა მიდის...

იცის ხალიჩამ,
 ახსოვს ხალიჩას,
 ზედ რომ გაგველო, ვინც იჩალიჩა.

ზოგს თუ ნატვრაში გამოულამდა,
 მათ გამო ვისაც სკამი უყვარდა,
 ვისაც გული და სული უყარდა,
 ქვეყანა ნახდა და დახურდა.

ბედნიერების უცხო ბადაგი
 მოასწრე, დატკბი შენც, ქალბატონო,
 თორემ ხალიჩას ცოცხი გადაგვის,
 „ძვირფასი“ კვალი რომ არ დატოვო...

გელოდებიან,
 სიცხე ძალაობს —
 მოიგერიოს, ცდილობს მარაო.

სურს გამოიცნოს, მავანს, ყვავილით,
 ამ ხალიჩაზე ხვალ ვინ ჩაივლის...

მაგრამ მანამდე შენი რიგია,
 ფეთქავს ვეფხვი და ფეხქვეშ გიგია.

იქნებ გადუფრეთ ამ მზეს და ამ ქარს —
 წინ მოუძღვები პირფერთა ამქარს.

ირგვლივ ვიდრე ეს ლაფი ირევა,
 მეც მასკარადის მონაწილე ვარ.

ამ ბუფონადას როგორ დავესწრო,
 სადაც ყალბ ნოტებს იღებს მავსტრო.

მირჩევნია, რომ სამწყემსად კოლტის
 ტყე-ღრეში გავეყე ვინმე მელორეს,
 თქვენ კი,
 ხალიჩას ვინც ქუსლით კორტინით,
 გიხსენებთ დედას!..
 კარგად მეყოლეთ!

2017

მეგონა ფიანდაზს გაგიფენდი,
 მეგონა,
 რომ გნატრობ, ის ხარ.
 თუმც ნელი ახალი გაგიტენდა,
 მაინც ძველ ნაგავში ზიხარ.

აბა, რაღა გითხრა საიმედო,
 გამხია ბურუსის ქოლგა.
 ქალაქმა ყველანი გაიმეტა,
 აფეთქებს, თავისთავს ბომბავს.

აყეფდა, გასკდა და აკაკანდა,
 სართული სართულებს ებრძვის.
 აივნის „სანგრებში“ დაბანაკდა
 ქვეყნის ამომგდები ბლენძი.

ისვრის რაკეტას და ხელყუმბარებს,
 როგორც შამპანურის საცობს.
 აქედან, იქიდან შეუბანეს —
 მთვრალი ბობოლობა ანცობს.

მოვდივართ არაფრიდან არაფრისკენ,
 მტუქსავენ, მიქნევენ თითს მე,
 ვიდრე ხელს ამიქნევე, ჩამაფიქვე,
 მითხარი, ამდენს რად გვითმენ.

კეფაზე მეცემა უროსავით,
 ყალბი სადღეგრძელო დამდევს —

მომაკვდავ სამშობლოს ულოცავენ
ძველ წელზე უარეს დამდეგს.

მძიმე საუკუნე დაიბედა,
ქვასავით მომთმენი კი ხარ,
თუმც წელი ახალი გაგიტენდა,
მაინც ძველ ნაგავში ზიხარ.

*
ლობებებიდან ყეფენ ვარდები,
ნითლად დაფურცლულ ტოტებს გვიქნევენ,
მხრებს უცაბედი თოვლი ადნება
ალუბლისა და ტყემლის ფიჭების.

შენი თვალების სხივი წკრიალებს,
ასე მოწვეთავს სიტკბო ფიჭიდან
და მე ბავშვური ხელი კი არა,
თითქოს იების კონა მიჭირავს.

ო, რა ახლოა ცრემლის ციმციმი,
აგორებული ელდა ჭორების,
დაისადგურებს როცა სიცივე
გულის გატეხვის და განშორების.

ბაღში მოფრენილ ციციკნა ბარათებს,
ვარდის ფურცლებზე შენს ნათითურებს
აეფარება ფანჯრის დარაბა,
თითქოს წარსულის კარი მიხურეს.

ჯგუფური სურათი

ბაღში, მაჩაბლის ცამეტის,
ვინც იცის სიტყვის ფასი,
კვლავ შეიკრიბა დაშლილი,
ხნიერ მწერალთა დასი.

თანდათანობით მოქუჩდნენ,
ამ მრავლისმნახველ ბაღს ხომ
ახსოვს მელექსე ტრიბუნიც,
მკვლელი ტრიბუნიც ახსოვს.

გახურდა სალამ-ქალამი,
ხვევინა-კოცნა და კაფია.
დროს განურჩევლად, ყველანი
ჭაღარით დაუდაფნია.

ვილაცა ენაკვიმატობს —
საქმეს დროულად მორჩი,
ფოტოგრაფ, ჩაგვაკარტიჩქე,
თორემ დავინვიტ დროში!

რაც იყო, წარსულს ჩაბარდა —
მითქმა-მოთქმა და მითი,
კარგა ხანია, პაოლომ
ჩახმახს გამოჰკრა თითი.

სკამებზე უნდა ჩაფრიდეთ,
თორემ დაინყებს ავდარს —
ჩვენგან სხვა რაღა დარჩება,
კალმის ნაჟურის გარდა.

იქნებ არცა ღირს, ფოტოგრაფ,
შენი მცდელობა, სულაც,
ვის უნდა, ვინ შეინახავს
ჩამქრალ სახეთა სურათს.

ან მომავალი რას იტყვის —
მოდის ნგრევით და მტვრევით,
სურათს არქივში დაფარავს
მუზეუმების მტვერი.

ვიდრე სხეულში გაჯდება
გარდაუვალის ფითრი,
იქნებ დავასწროთ, საერთო
სასხლეტს გამოვკრათ თითი.

იქუხებს, წერტილს დაუსვამს
უკვდავებასთან დავას,
ჯგუფურად, როგორც მოვედით,
ეგრე, ჯგუფურად წავალთ.

მაგრამ მანამდე ტოტებში
ძველ მოგონებებს აშლის,
უკანასკნელი, ერთგული,
ბოლო გალობა შაშვის.

აბა, ვინ წინ და ვინ უკან,
გულებს გაუდით რეჩხი.
სკამებზე გათამაშდება
ბოლო სეზონის „სკეტჩი“...

ბაღი მაჩაბლის ცამეტის,
მყუდრო, წყნარი და მშვიდი,
სავარძლების და სკამების
გარინდებული რიგი.

მიჩრებული ფოტოგრაფს
გულში ბავშვით ვითვლი:
— ერთი, ორი და სამი და...
გამოფრინდება ჩიტი!

მონატრება

დავით თედორაძეს

ზღვისპირეთის თვალს და მნათობს,
ათოვს პირმშვენიერ ბათომს.
მომენტრე, ზღვის კენჭებზე
ქალის განოლილო ქაფო.

რომ მიყვარდი, რად მიყვარხარ,
არა, აღარ მკითხო, რატომ,
ათოვს სონეტების სევდა,
დავით კლდიაშვილის ბათომს.

მერამდენე წელიწადი
შენს მთრთოლვარე პალმებს ვნატრობ.
ვნატრობ ჩვენი ზღვისპირეთის
მწყალობელ და კეთილ ბატონს.

მაინც მეკითხები, რატომ?
ათოვს, პირმშვენიერ ბათომს!

ქალღმის ქალაქი

მოსწონს თუ არა, ყეფა-კამათით,
გვერდიგვერდ ცხოვრობს ორი ქალაქი.

და ჰგავს ერთმანეთს ჩვენი დღეები
ერთფეროვნების ვაქცინით აცრილს —
გათენებისას, სანაგვეებთან
ვინ ვის მიასწრებს,
ძალღი თუ კაცი.

წუთისოფელი თანაბრად გვხედნის,
სხვა სადარდელი არ გვაქვს, არც გვინდა,
მადლიერები ვიქნებით ბედის
ამ მძიმე ზამთარს თუ გადავიტანთ.

აქაც ებრძვიან ძაღლები ძაღლებს,
აქაც ჩაგრავენ ძველები ახლებს.

თუ გასაყოფი მსუყე ძვალაია,
აქაც არ დათმოს, ძაღლის ვალაია.

და მაინც, ცუგა,
შენ მაინც სხვა ხარ,
არ ჰგავხარ, ვინც ჩემს გვერდით სახლობენ,
მადლიერებით ხელს ამილოკავ,
პურის ნატეხი თუ გინყალობე.

გამინახვერებ დარდის სიმძიმეს,
ნდობით კუდს როცა გამიქიცინებ.

ჩვენსკენ ერთგული გული გაცივდა,
ალმერთებს მუცელს ჟინი მოქაფვის.

ვაი, სამართალს,
იმას კაცი და
შენ მანანნალა გქვია, ქოფაკი.

მიათახთახებს, ძმას ვინც უგანა,
სავარძლისაკენ დონდლო უკანალს.

და ამიტომაც ბორკილი დავთმე,
სად დამილამდეს, იქვე გათენდეს —
მეც მოგინებები მყუდროში, სადმე,
ვიდრე წიხლისკვრით წამოგავადებენ.

ვერ მოგვაქციეს,
თუმცა კი გემოდვარეს,
მაინც ამათი ჯიშის არა ვართ.
უნდათ თუ არა, ჩვენ მაინც ვცოცხლობთ
და ყეფა-ყეფით მივდევთ ქარავანს.

*
ვიდრე საკინძისკენ გაგირბის თვალი,
ვიდრე საოცნებო ჭრიალებს კარი,

ვიდრე შენი ხელის ყოველი შეხება
ათრთოლებს ლარნაკში მოწყენილ ყვავილს.

ვიდრე საკინძისკენ გაგირბის თვალი,
ვიდრე უგემური სიცოცხლის მარილს
ჰქვია სიყვარული და ჰქვია ქალი...
ვიდრე...

*
ვერ ავიცილებ,
ვიცი, ასეა,
მე რომ მეკუთვნის,
ეს ის თასია.

რა ვუპასუხო, არ ვიცი თვითონ,
მწარე მეტია თასში თუ სიტკბო.

როგორ აუხსნა მედროვე რეგვენს,
ზარები ვისთვის ან რატომ რეკენ,
ვარდებს კი არა,
სისხლის წვეთები
რატომ ასხიათ გვირგვინის ეკლებს.

როდის გაიგებს მწარე სიმართლეს,
ჯვარს ვეზიდები თუ ლოდს მივართევ,
ვინც ყივილამდე ვერ მოითმინა,
ვინც შუბის წვერით ფერდში მირქინა...

ვიდრე ნააქცევს ცოდვა სამყაროს,
ქვაც ილაღადებს, რაც დღემდე ვერ ვთქვი,
და „ჭირისუფლებს“ მეც მივახლო —
სჯობს თქვენი თავი იტირეთ-მეთქი...

შვებით კი არა, ტანჯვით სავსეა —
მე რომ მეკუთვნის,
ეს ის თასია.





ცქირი

წმინდა ამხედრებულ ეპისკოპოსს იმ უნაგირა ბორცვის ძირას უნდა გამოეველო...

ცქირი საუკეთესო მოისარი იყო მეფის ჯარში. სამოც ნაბიჯზე კვერცხს ახვედრებდა ისარს...

„მეწველი თხა და ორი გოჭი... მეტი რაღა გინდა?! თუ იმარჯვებ, ზვალვ მდიდარი იქნები...“

„ჰა, აბა, რაო, უარს ხომ არა ხარ? იცოდე, მეფის ბრძანებაა, შენ კი ფიცის გაქვს მიცემული...“

„ეგ კი ეგრეა, მაგრამ...“

„რა იყო, ძღვენი გეცოტავა? კარგი, მამ ცოტა ვერცხლსაც წავუმატებო, მამასახლისს კი ვეტყვი, მინა უფასოდ მოგიხნას.“

„კაცს გამოგიგზავნი და შეგატყობინებ, როდის უნდა იყო მზად. თუ გვილაღატებ, ხომ იცი, მეფის რისხვა არ ატყდება.“

„ვიცი,“ — ამოლერდა ცქირმა.

„ჰოდა, დალიე, დაილოცე,“ — ჯართუფროსმა ღვინო ჩამოუსხა და ცქირსაც მორჩილად გამოართვა თასი.

„ღმერთი შეგენიოს!“ — დაემშვიდობა ჯართუფროსი და გაცეცალა.

ჰო, ღვთის შეწევნა ცქირს ნამდვილად ეიმედებოდა, ამიტომ პირჯვარი გადაიხნერა და ღამის სათევ ბინაზე დაბრუნდა...

ახლა კი უნაგირა ბორცვზე იჯდა და ზემოდან დასცქეროდა გზას, რომლითაც მსხვერპლს უნდა გამოეველო.

თალია, ისრები იქვე ეწყო ხავსიან მიწაზე, რათა მარცხის შემთხვევაში მშვილდი მყისვე გაეწყო, მაგრამ ეპისკოპოსს ალბათ ასაბნია ახლად და მეორედ იღბლიანი სროლის შანსი არ მიეცემოდა...

„არ უნდა ავაცდინო,“ — ჩურჩულით იმეორებდა ცქირი და მოძრავ ფიგურებს ქორივით გაჰყურებდა.

ველკეთილზე სასამხროდ ჩამომსხდარმა მთიბელებმა მათკენ მომავალი მაღალი კაცი დაინახეს: დაღლილი და განანამები ჩანდა და განვირგად ადგამდა ფეხებს.

„გამოქცეული იქნება, — უხუცესმა მთიბელმა ხშიადი გატეხა და ლუკმა ღვინიან თასში ჩაანო, — მამასახლისს უთქომს, ციხიდან მოლაღატე ერისთავი გაპარულაო.“

ღვინოში დამბალი პური უკბილო პირთან მიიტანა და თითქოს გაკვირვებულმა ამოთქვა:

„ღმერთო, შენ გვიშველე! მთიბელები სამხარს წაეტანენ და უცნობი მალე გადავიწყდება. ველზე სირუმი იყო. ისმოდნა ნიავეს მსუბუქი სტევენა და ბალახის ფაჩუნი. კოლო წუოდა.“

ცქირი მოედანზე იდგა, სავაჭრო ფარდულების წინ და ცხენი აღვირით ეჭირა. ბაზრობა იყო. ხალხი ფუსფუსებდა. ნამუადღევს უფრო იმატა ხალხის ნაკადმა და ცქირსაც გაუჭირდა დურდოში გასვლა.

„ხალხო, ისმინეთ! ვინც გაქცეულს შეიპყრობს, ჯილდო ელის...“

ცქირმა ხელით მოსინჯა უნაგირზე გადაკიდული ტომარა და სახე ბედნიერების ღიმილმა გაუცისკროვნა. ჰო, ბედი სწყალობს, გოჭებს ქატო იაფად უყიდა... მდიდარი კაცია, თანაც ქონება უსისხლოდ ერგო... მოაგონდა ის დღე, როცა ეპისკოპოსს ჩაუსაფრდა.

ცქირი კაცის კვლის ცოდვას ააცდინა, ეპისკოპოსი კი თავისით მოკვდა, უფრო სწორად, ეშმაკმა გადახაფრა უფსკრულში... ასე ამბობდნენ სოფელში და ცქირმაც მოხერხებულად ისარგებლა ამ მიეთ-მოეთით.

მეტისმეტი ღვთისმოსაობის გამო ეშმაკი ფრიად ჰგვემს და აწვალესო; ჰოდა, პირუტყვიც მავნე სულმა განუტევა ბილიკიდან... ცქირს თვალწინ დაუდგა გაჭენებული ჯორი და უნაგირს ჩაჭიდებულ ეპისკოპოსის ჩია ფიგურა... თავად ზემოდან დაჰყურებდა იმათ, მშვილდობილი და ისრის სატყორცნად გამზადებული, მაგრამ ღმერთმა სხვაგვარად განსაჯა: არ ინდობა, რომ ცქირი ცოდვას დაემძიმებინა და სიმდიდრე ისე უწყალობა...

ცქირს გაეღიმა, ულვაშზე ხელი გადაისვა. თვალწინ ახლა სხვა სურათი დაუდგა: ქობს უკან დაბმული თხა და სალორეში მოღრუტუნე გოჭები, რომლებსაც იაფად უყიდა ქატო... როგორც ჯართუფროსი დაჰპირდა, მამასახლისმაც უფასოდ მოუხნა მინა... ჰო, ცქირი ახლა მდიდარი კაცია და ღმერთიც სწყალობს...

თითქოს მინიდან ამოძვრნენო, გზის საყუფში მხედრები ამოიზარდნენ.

— ჰეი, ვინა ხარ, აქ რა გინდა? — მენა? — ჰო, შენ, აბა, სხვა ვინ? — ცქირი ვარ, მეფის მოლაშქრე. — მერე ბანაკად რატომ არ ხარ? — აღარ ვმსახურობ, მეფემ ჯილდო მიწყალობა.

მხედრები შეჯგუფდნენ და ხმადაბლა აჩურჩულდნენ. მერე რაზმის უფროსმა ცქირს ჰკითხა:

— იცი, რომ საპატიმროდან მოლაღატე ერისთავი გაიქცა? — მაქვს საგან გავიგონე, შენი ჭირიმი. — იმას დამხმარე ჰყავს, ისე ვერ დაიმალეობა. ხვდები რას გეუბნები? — მენა? — ჰო, შენ, — რაზმის უფროსი უნაგირზე გადმოიხარა, — დავიჯერო, არ გინახავს ის კაცი?

— აბა, რანაირად, შენი კენესამე! — რანაირად და იქნებ შენ იფარავ, იქნებ შენ ხარ კიდევ ის გაქცეული ტუსაღი.

— მენა? — ჰო, რა იყო, ვითომ რატომ არ იქნები? ბიჭებო, — რაზემელებს მიუტრიალდა უფროსი, — მგონი, ვიპოვნეთ, ვისაც ვეძებდით!

ცქირს უცებ რამდენიმე ხელი მისწვდა და გაკვირვებაც ვერ მოასწრო, მინაზე რომ ნამოაქციეს და მკლავები გაუკრეს.

— ყვავ-ყორნები რომ გაძიძგინან, მაინც ვეღარავინ იცნობს! — რაზმის უფროსი ცქირს მხიარულად უცქერდა, — კაი ჯილდო კი დაგვრჩება, ბიჭებო, ღმერთი გვენწყალობს!

ცქირს თმა ყალყზე დაუდგა, გული გაეყინა.

— უბრალო ვარ, გეშვებათ, — ამოლერდა ძლივს, მაგრამ რაზმის უფროსმა მყისვე ხმა გააკმენდინა, — გეყო ლაყობა! სარზე რომ ნამოგაცვამთ, მერე მიხვდები, რაც დააშავე.

— რა, შენი კენესამე? — არაფერი, — გაიცინა რაზმის უფროსმა, — ცუდ დროს გადაგვეყარე და ეგ არი... შენ თუ არა, სხვა იქნებოდა.

ცქირს უცებ საბელმა ყელში წაუჭირა და თვალადან სიმწრის ცრემლი გადმოსცვივდა. რაზემელებმა სიცილ-ხარხარით დასძრეს ცხენები და თოკს გამობმული ცქირი თან გაიყოლეს.

ხევიდან კაცი ამოვიდა და რაზმი მზერით გააცილა. ერთხანს ბრმასავით ირწინოდა, თითქოს ვერ გადაეწყვიტა, რა ექნა, და საით წასულიყო, მერე თავი ჩააქინა და დანდობილად დაადგა გზას დაბისაკენ.

მზე უკვე ჩადიოდა, საღამოვდებოდა, გზაზე მხედრებისაგან ადენილი მტვერი ნდებოდა. ნიავე ამოქროლდა და ბალახი ააფათურა. სინყნარე იყო. კოლო წუოდა.

შენხედრა

მამამშულის ვაჟს, ჟაკვერლენს, მამის გარდაცვალების შემდეგ მცირე მინის ნაკვეთი დარჩა ნაომიურში, სადაც მან თხილის პლანტაცია გააშენა, მაგრამ ნამონყობამ არ გაუმართლა და ზღვისიქითა კოლონიაში ბაშბის წარმოების ჰაი იყიდა. საქმეს არცთუ ცუდი პირი უჩანდა და ვერლენმაც პორტ-ო-პრენის მიაშურა, რათა წარმოება ფეხზე უკეთ დაეყენებინა; ბამბაზე მოთხოვნა მატულობდა და აქციების შექმნით ვერლენი იმედოვნებდა, კონცეპსია შეექმნა. მეპაიეებმა ის ხელმძღვ-

ანელად აირჩიეს. ვერლენმა ჰაიტინზე რამდენიმე წელი დაჰყო და ბამბის მოშენება მეცნიერულ კალაპოტში ჩააყენა, მაგრამ მონათა აჯანყებამ, ანომალიურმა სტიქიამ და მოუსავლიანობამ ნანატრი სიმდიდრის მოლოდინი სრულებით გაუცამტვერა. ბედის უკუღმართობით გატეხილი და დადარდიანებული ვერლენი კიდევ ცოტა ხანს ჯიუტობდა და ბამბის ახალი ჯიშების გამოყვანას ცდილობდა, მაგრამ ვერაფერს გახდა — სხვები თუ მდიდრდებოდნენ, ჰაიტის მინა მისთვის კარგს არას იმეტებდა. ვერლენი ხვედრს დამორჩილდა და სამშობლოში გაუწია გულში, რათა უცხოობაში არ მომკვდარიყო. მართალია, ჯერაც შუახნის, ჯანიანი კაცი იყო, მაგრამ სასო ჰქონდა წარკვეთილი, საქმეს თავს ვეღარ აბამდა, ყველაფერში ხელი ეცარებოდა. სამშობლოში კი მცირე რენტა და წყნარი სიბერე ელოდა.

გემი შუა ზღვაში შეცურდა და ალტემული მინა უკან დარჩა. ბორტს იქით კუნძული ნელა უჩინარდებოდა. საფრანგეთში აფრიკის შემოვლით მოდიოდნენ და ხომალდი წყლის მარაგის შესაცვებად და ფოსტის დასატოვებლად წმინდა ელენეს კუნძულზე შეჩერდა. სხვა მგზავრებთან ერთად ვერლენი მუხლის გასამართად ნავსადგურში გადმოვიდა და რაღა გემი აქ კარგა ხანს იდგებოდა, გასეირნება გადაწყვიტა.

კუნძული დიდი და უდაბური ჩანდა. ზღვის გასწვრივ კლდეები აყუდებულიყო, რომელთა მაღლა ზეგანი უზმცენარეულობას დაეფარა. ალაგ-ალაგ კლდოვან ჯებირს მდინარის თუ ნაკადულის კალაპოტი სერავდა. ვერლენი ამას იგებდა ატეხილი ხეებით, ზიგზაგურად რომ მიუყვებოდნენ კალაპოტს და ზღვამდე დაბურულ, თაღოვან ხეივანს ქმნიდნენ. ერთ ასეთ ხეივანში მან უცხო კაცი დაინახა. უცნობი ზურგმქცევით იჯდა, ანკესი ტბორში ჩაეშვა და გაუძნრევლად უცდიდა ნადავლს. ფართოფარულიანი ქუდი და მობოშებული სამოსი ნაჭრის ტიკინას ამსგავსებდა. ვერლენმა გადაწყვიტა, უცნობი არ შეეწუხებინა და იქაურობას უხმოდ გასცლოდა, მაგრამ უნებურად ფეხი მიწაზე დაგდებულ ტოტს დაადგა და ტკაცანზე უცნობმაც მოიხედა.

— მესირ! — აღმოხდა ვერლენს. მან მყისვე იცნო იმპერატორი და აღარ იცოდა, რა ექნა. გაუბედავად იდგა. ხმას ვერ იღებდა. დაღვრემილმა, მოღუშულმა კაცმა თავი უგუნებოდ დაუქნია.

— ფრანგი ხართ? — ხრინინით, გამეხებულმა ჰკითხა და მიახლოება ანიშნა. ვერლენი მივიდა და მონინებით გაჩერდა მის წინ. იმპერატორს ორივე ხელი მუხლებზე ეწყო, მოშვებული იჯდა, როგორც გლეხკაცი საღამოობით.

— დიახ, მესირ. — აქ რა ჯანდაბა გინდა? — გავლით ვარ... საფრანგეთში მივიმგზავრები.

პირქუე კაცს უცებ სახე შეეცვალა. ქუდი მოიხადა, შემელოტებულ თავზე ხელისგული გადაისვა.

— საფრანგეთში! — ნამოიძახა მერე, თითქოს ვერლენის ნათქვამს აზუსტებდნენ, — დიდი ხანია იქ არ ყოფილხართ?

— დიახ, მესირ, დიდი ხანია. — მე კი იქ არ მიშვებენ.

წყალზე ტივტივა ოდნავ შეირხა და გაქანავდა.

— სამწუხაროა, მესირ. — სამწუხარო? — მეანკესეს სახე დაღვრითა, — ნეტავ ვიცოდე, სხვა რაღა დავიმსახურე!

— რა მოგახსენოთ, მესირ. მეანკესემ ხელი ჩაიქნია და გაჩუმდა. ვერლენმა კვლავ ტივტივას გახვდა.

— არ მიშვებენ, — გაკვირვებით და დალონებით ნამოიძახა ლიპოშვილმა კაცმა, თითქოს ახლად ჩაფიქრებოდა თავის მდგომარეობას, — საფრანგეთი მე შევექმენი და არ მიშვებენ... მოსესავით, ხორიზიმის მთაზე რომ გარდაიცვალა...

ტივტივა იძვროდა გვერდზე იხრებოდა. იმპერატორი კი ვერაფერს ამჩნევდა. მუხლებზე დაწყობილი ხელები შეუტოკდა და თითქოს დაეკრუნხნა.

— გნამთ ვანგება? — მე ღვთის ნება მნამს, მესირ. — ჰმ, ღვთის ნება... რას საქმიანობთ? — ნეგოციანტი ვიყავი, ჰაიტინზე პლანტაცია მქონდა.

ტივტივამ ჩაყვინთა და წამით გაუჩინარდა.



ზამთარ და ზაფხულ

შენი სავანე
ძველებურად გაალამაზეს
ღმერთის კალთიდან
აფრენილმა მოლაღურებმა
ახალი წყარო დაიბადა
ახალ სამანზე
და გიხარია
სიმაღლეთა მონახულება.

მზის სიახლოვემ
მიმოქარგა თურმე კორდიო
(მარადიული სიყვარული
ცაო ეს არი)
აქ არ არსებობს
აისები უმელოდო
ზამთარ და ზაფხულ
ყვავილობენ საოცრებანი.

მდინარეებს შორის

სადაც გელიან წადი ახლავე
და ნურასოდეს წაიმაგრამებ
არ მოინდინდო ყვავილის მტვერი
არ დაივიწყო სიმღერა ძველი
და მოეფერე ქარში ნარგავებს.

ახლავე წადი სადაც გელიან
სადაც სამოთხის გზა და ფერია
სადაც სიხარულს ამშვენებს სევდა
და სიყვარული საუბრობს მზესთან
მაგრამ მზე მაინც სანატრელია.

სადაც ეჭვია და ხმა დაბერდა
და კამათობენ აღარაფერთან
იქ სამლოცველო არაა შენი
სხვა მხარეების ნათება გელის
რომელშიც ღმერთმა გადაგახედა

შორეულისკენ წადი ახლავე
და დაინახავ ახალ ვარსკვლავებს.

ასკილივითაა ოჯახი
იმდენი ყვავილი და
ეკალი ასხია
არასოდეს მოიწყენ.

ჰაერს ემჩნეოდა
როგორ
მოუძლოდა სითბო
ნანატრი სახლისაკენ
მომავალ დედას.

სიკვდილი შორიდან
მოდიოდა და მოანათებდა
მაგრამ შენ მაშინლა შეამჩნიე
კარი რომ შემოაღო
და სითბო შემოჰყვა დედისა.

შენ ჰგავხარ მდინარეს
რომელიც შეიძლება დააშრო
მაგრამ ვერასოდეს აამღვრევ.

აყვავდნენ ხეები
და მათ შემხედვარეს
მაყრები გახსენდება.

ჩრდილი ვერა
მაგრამ ჩრდილის სითბო
ნაილო მდინარემ.

ერთი თამამად შემოვიდა
მეორე — მოკრძალებით
ერთი მაცვივართან მივიდა
მეორე —
წიგნების თაროსთან.

კი არ ამოიფრქვა —
ცეცხლის კაბიანი

ვაჟა ხორნაული

ქალივით
ამოცურდა ვულკანი.

უდაბნოს ღამეში
გახსენდა
როდის დაანახა პირველად
დედამ ვარსკვლავები.

გალავანი მალღებდა
ადამიანები
და ხეები პატარავდებოდა.

საათი

ხან თორმეტი ჭრილობა
ხან თორმეტი ყვავილი.

ძილშიაც გრძნობ
რომ ყველა ვარსკვლავი
თავის ადგილზეა.

პირქვე მნოლიარე
ისე ჩასჭიდებია მინდორს
თითქოს დედამინა
გაფრენას აპირებს
და მისი გაშვება არ უნდა.

თვალი ჰქონდა ისეთი —
მოქნეული მათრახის
ჩრდილს დაინახავდა.

მე ის მიხარია
რომ ისევე ამოვა მზე
და ხელადები
ისევე შეხვდებიან
ერთმანეთს წყაროსთან.

საფერფლეს მოერიდა
რვეულში შევიდა
და ფურცლების სითბოში
დამშვიდდა ჭიანჭველა.

ხელებს ზოგჯერ
პატრონი ავიწყდებათ
და ერთმანეთს ეთამაშებიან
როგორც ანცი ლეკვები.

ლომთან
ლომის ჩრდილი

შევიდა გალიაში
და მოფერიანდა.

ერთი კლდიდან მეორესთან
მიფრინდა ბელურა
და ახლა ეს კლდეები
ერთმანეთისათვის
უკვე აღარ არიან უცხონი.

მან ოკეანე გადაცურა
და მოკვდა წყაროსთან.

როგორც „ფერხულის“
მოცეკვავეები
ისე მინდობიან
და ჩასჭიდებიან
კედლები ერთმანეთს.

მეთევზეებივით
ჩამდგარან
მდინარეში წნორები
და ჩრდილის ბადეებით
იჭერენ სინათლის თევზებს.

სკამი სკამთან
ისე დააყენა
თითქოს უმზრახი
მეგობრები შეარიგაო.

და ნემსი გაჩერდა
და ცრემლი
დაეწვეთა საქსოვს.

ფესვმა იგრძნო
მზის მოახლოება
და კვირტი
გამოვიდა ხიდან.

სიკვდილმა
დედა დაინახა
აკვანთან დახრილი
და იის ნაბიჯებით
გავიდა სახლიდან.

და როგორც სიცოცხლე
და როგორც სიკვდილი —
სიყვარული ამ ქვეყნიდან
წამსვლელი არაა.



მას მერე, რაც ბერიას გამოგზავნილებმა პაოლოს ცხედარი მწერალთა კავშირიდან არამიანცის საავადმყოფოში წაიღეს, სამი ჩეკისტი პოეტის სახლს მიადგა გასაჩხრეკად: ისე შეცვივდნენ, არავისთვის არაფერი უკითხავთ. პაოლოს სამუშაო მაგიდის უჯრები გამოაღეს: ხელნაწერებით სავსე რამდენიმე საქაღალდე იატაკზე დაყარეს, ნაწერებით დაიფარა მთელი ოთახი.

პაოლოს ძმა გაფითრებული იდგა. ვერც კი შეამჩნია, როგორ გამოეპარა დედას პატარა მედეა და როგორ ამოუდგა ბიძას გვერდით.

— მამა სადაა? — იკითხა გოგონამ.
— მედეა, გადი, შენს ოთახში! — უპასუხა ბიძამ.

— მამა სადაა? — ისევ გაიმეორა მედეამ.

— მამა... მამაშენი... — ხმა ჩაუნყდა პაოლოს ძმას.

გოგონა გაოგნებული შეჰყურებდა ბიძას, რომელიც რაღაცას კი ეუბნებოდა, მაგრამ ხმა არ ესმოდა. მერე შემოტრიალ-

ეს ყველაფერი და რომ ჩამოვალ, მითხარი. ყველა მომიკითხე.

შენი ძალიან, ძალიან მოყვარული მამიკო

1933-1934 წლის ზამთარი.

— ეი, შენ, გველის წინილო, რა გიჭირავს ხელში, რაიმეს მალავ? — ხელი მოჰკიდა ჩეკისტმა.

— არაფერს! — ხელები გაშალა მედეამ და გაიმეორა, — ჩემი მამიკო სად არის?

— მამაშენი მკვდარია! — ცივად გამოსცრა დაბალმა.

— ჩემი მამიკო მოკვდა? — გაიმეორა გოგონამ და განწირული ხმით დაიყვირა.

პაოლოს სული ამას უყურებდა და არ იცოდა, რა ექნა, როგორ ენიშნებინა ქალიშვილისთვის, რომ იქვე იყო, მასთან, გვერდით და არც არასდროს მიატოვებდა!

ვერაფერი მოიფიქრა. ახლა მხოლოდ უკანასკნელი წერილე-

იატაკზე. წასაკითხად გამზადებული ამოზეჭდილი ფურცლებიც წვრილადაა დანაკუნებული. მხოლოდ ერთი ლექსი გადარჩენილა. ვილაცას გატეხილი ფანჯრის ღრეჩოში დაჭმუჭნული და გამურული ჩაუჩურთავს. პაოლო ფურცელს აკვირდება:

დაიტანჯე მაჯა
მარჯნის,
მძიმე ჯაჭვის
ტარებით,
ჩემ დამტანჯავს ღმერთი დასჯის...

— ჰო, მხოლოდ ეს ლექსილა გადარჩა. აქაც კორექტურა გაპარულა. დაენანა!

ეს უკვე მერამდენედ დაენანა, ის, რაც ამ დედამინაზე აბრუნებდა...ვის გაუგონია ამდენი სინანული იმ სიცოცხლეზე, რომელიც ასე უღმობლად მოისწრაფა?!

რამდენი განუზოხორციელებელი ნატვრა დარჩა.

რამდენი რამ დარჩა აქ...

ოჯახი, მეგობრები, ლექსები, წიგნები. დაუნერული ლექსები, გამოუცემელი წიგნები...

მტრებიც კი დედამინაზე დატოვა.



გამოცემლობა „არტანუჯი“ მალე გამოსცემს ნინო ჩხიკვიშვილის მხატვრულ-დოკუმენტურ თხზულებას (ბიოგრაფიული ხასიათის მცირე რომანს) პაოლო იაშვილზე. გთავაზობთ ფრაგმენტებს მომავალი წიგნიდან.

და, თავის ოთახში გავიდა. ძველი კარადის კუტი კარი გამოხსნა, მამას წერილები სასკოლო წიგნებს შორის შეაცურა. ჩეკისტიც ფეხდაფეხ შეჰყვა.

პაოლო მოსკოვიდან უამრავ წერილს სწერდა თავის პატარა ქალიშვილს:

ჩემო ძვირფასო, ჩემო კარგო მედეა! მივიღე შენი ორი ბარათი. მაპატიე, რომ გვიან გწერ პასუხს. არ არის ერთი წუთი, შენზე რომ არ ვფიქრობდე, და რა ბედნიერია ის ხალხი, რომელიც შენ ყოველ დღე გხედავს. წერილები უფრო ხშირად მომწერე.

მომწერე ორი სიტყვა, მაგრამ საკუთარი და არა სხვისი ნასწავლები. დღეიდან მეც ხშირად გამოგიგზავნი ღია ბარათებს. აქ ძალიან ცივი ზამთარია. იყო დღეები, როდესაც ყინვა 30 გრადუსამდე ადიოდა...

ფეხსაცმელები და „ბოტები“ ვერსად ვიშოვე, შენი ფეხის სარგო არ არის. ხვალ კიდევ მაქვს იმედი, ერთ ადგილას არიან დაპირებული. ყოველ შემთხვევაში, ამ დღეებში უთუოდ გავაჩენ სადმე და გამოგიგზავნი.

კარგად მოუარე თავს, ჩემო გოგონა. შენ რომ კარგად არ იქნე, ჩემი სიცოცხლე არაფრად არ ივარგებს. ბევრი ისწავლე, იკითხე და მე არ დამივიწყო. მე როცა დავბრუნდები, სულ ქართულად უნდა მელაპარაკო. მე რომ მოსკოვში მოვდიოდი, შენ სიტყვა მომეცი, ყველას ქართულად ველაპარაკებო. ხომ ასრულებ დაპირებას?

როდესაც დრო გექნეს და მამა გაგახსენდეს, წერილი მომწერე. ძალიან, ძალიან გამეხარდება.

შენი მამა პაოლო
12.2.33.

ჩემო ძვირფასო, ჩემო კარგო მამიკო! შენ ეს წერილი რომ მოგივა, იმ დღეს მე აქედან წამოვალ.

გაკოცებ იმდენს, რამდენი ვარსკვლავიცაა ცაში, რამდენი ღერი თმა გაქვს შენ, და რამდენი სანტიმეტრია მოსკოვიდან ტფილისამდე — უსათუოდ გამოითვალე

ბი აგონდებოდა, გამთენიისას რომ დაწერა და ამ დღით საფოსტო ყუთში ჩააგდო. ამ წერილთაგან ერთ-ერთი მედეასაც უნდა მიეღო.

ჩეკისტებმა ჩხრეკა დაასრულეს. მერე ხელნაწერები აკრიფეს და რამდენიმე ტყავის ჩემოდნით ეზოში გამოიტანეს. ცეცხლი წაუკიდეს. ფურცლები უეცრად ააღდა, მოცისფრო კვამლი ერთბაშად აიჭრა მალა და ჰაერში გაიფანტა.

დასრულდა! — გაიფიქრა პაოლომ, ვერც ამას ვუშვებ, ვერც ჩემი მედეა ჩავიხუტე გულში!!!

აი, თურმე რა ყოფილა სიკვდილი... ხედავს. ესმის. მაგრამ ვერავის აგებინებს, რომ აქვეა, მათთანაა. არსად წასულა!

მათთანაა და მაინც შორსაა, უხილავია ამ სამყაროში დარჩენილთათვის.

რა ექნა? იქნებ სტამბაში მაინც მივუხსნო? — ფიქრობს, თან უეკირს, ახლა რომ ზრუნავს ამაზე. არადა, სიცოცხლეში არასდროს უზრუნია საკუთარი ლექსების გამოცემაზე, ექსპრომტებიც გაფანტა. არცერთი არ ჩაუწერია. ენანება? თვითონაც ვერ აუხსნია, რა განცდაა, რად გაუწინდა ასეთი გრძობა უკვე მკვდრადმობილი წიგნისადმი, რომელიც ვერასოდეს გამოვა.

სტამბაშიც უკვე გაეგოთ პაოლოს ამბავი. არადა, გუშინ, შუადღისას, გამოიარა. თავისი პირველი წიგნის ანაბეჭდები წაიკითხა.

მალევე უნდა დასტამბულიყო. მაგრამ ახლა აღარ დაიბეჭდება.

წიგნი უკვე აღარ არსებობს, მთელი ფორმა ჩაშლილია. ლითონში ჩამოსხმული სტრიქონები ვერცხლისფერ, გაქვავებულ ცრემლებად მიმოფანტულა ქვის ჭუჭყიან

პაოლოს კი ეგონა, რომ...

და უეცრად ისევ გაუწყდა ფიქრი: დიდი ხნის მონატრებული ხმა შემოესმა — დედას ლევანა მღეროდა.

ეს სიმღერა იმ სიცოცხლიდან ახსოვდა, მაშინდელიდან, როცა დედას ლევანასთან ერთად იქეიფა ერთ უბრალო სასადილოში. მაშინ მასთან ტიცინი და გიორგი ლეონიძე იყვნენ, ჭაბუკი აკაკი განერულიაც...

დედას ლევანას ნამღერი დაამახსოვრდა.

დედას ლევანამ ძველთაძველი სიმღერები გაიხსენა და პაოლოსთან ერთად იმღერა. ყოველი სიმღერის დასრულების შემდეგ პაოლო წამოდგებოდა და დედას ლევანას მხარზე ეამბოროებოდა. მერე, როცა დედას ლევანამ ერთი ულამაზესი სიმღერა წამოიწყო, უიღბლო, დაკარგულ სიყვარულზე, პაოლო ისევ წამოდგა. წითელი ღვინით სავსე ფიალა იატაკზე დაანარცხა და თვალზე მომდგარი ცრემლი რომ არავის შეემჩნია, თავი ჩაქინდრა. ყოველთვის ასე იქცეოდა, ბავშვობაშიც, როცა დედამისი რაღაცაზე უსაყვედურებდა. ანდა ქალაქის ქუჩაში, ასფალტზე მკვდარ ჩიტს დაინახავდა.

ახლაც დამალა ცრემლები. წითელი ღვინის პანია მონანკარე ნაკადს ჩააცქერდა, უეცრად წარმოიდგინა, როგორ იცლებოდა სისხლისგან მისი სისხლი და ხორცი, მისი ჭუნია, როცა შორაპანში, ვაგონში სხვებთან ერთად ჩაცხრილეს ბოლშევიკებმა.

აი, თურმე, რა ყოფილა სიცოცხლე. რა ყოფილა სიკვდილი... დედამინას დასცქერის: ხედავს. ესმის... მას კი ვერავინ ამჩნევს: და ეს უცნაური ხილვები კი არა ქრებიან, პირიქით, უფრო, უფრო მეტად მძაფრდებიან, ფერადდებიან. ხანდახან ტკბილიცაა ეს ხილვა.

ხედავს ყანწელთა პირველ სალამოს კონსერვატორიის დარბაზში. სცენაზე დიდი, გრძელი მაგიდა დგას. ამ მაგიდას უსხედან: შუაში — წითელ ქულაჯაში

გამოწყობილი პაოლო. როგორც მერე ტიცინის ქვრივი იგონებს, ლამაზი, მოელვარე თვალებით, მშვენიერი ტალღოვანი თმებით.

პაოლოს გვერდით, ერთ მხარეს გრიგოლ რობაქიძე, ნაქანდაკარი სახითა და ფოლადის თვალებით. მერე მხარეს — ვალერიანი, ხუჭუჭა თმით, ჭკვიანი, გამომცდეელი თვალებით, უმანკო ქალიშვილის ღიმილი რომ დასთამაშებდა სახეზე. ლელი ჯაფარიძე იქაა, ცისფერ პურანგში გამოწყობილი, ხასხასა ნარინჯისფერი ბაფთით. შალვა კარმელიც, ფერმკრთალი და ნაღვლიანი სახით. მათთანაა კოლაუ ნადირაძეც.

სკამებზე კი იები აწყვია. იის კონები ცვივა დარბაზში და საოცარი სურნელი ტრიალებსო.

სალამოს პაოლო ხსნის. კითხულობს თავის ლექსს — „ფარშევანგები ქალაქში“. მერე გრიგოლი დგება, მერე ჭიჭიკო გაფრინდაშვილი, შალვა კარმელი. კოლაუ ნადირაძე ყელს ისველებს წითელი ღვინით და ისიც იწყებს „ავზინანი ქალაქის“ კითხვას...

დარბაზში, მომხრეთა გარდა, მოწინააღმდეგეებიც სხედან. რეპლიკებს ისვრიან. პაოლო მათ ჯიბრზე კითხულობს „ევრიპას“, აღშფოთებულ ხალხს არწმუნებს, რომ მოვა დრო და ამ პოეზიას აღიარებენ!

მერე უეცრად, ძველი გახუნებული ფოტოსავით, ეს უცნაურად ლამაზი ჩვენება სადღაც იკარგება და სხვა ცოცხლდება — ახლა პაოლო ქუთაისის ჩაიხანაში თავს გადახდენილ ამბავს შესცქერის:

რაჟდენ გვეტაძე კოლაუს უამბობს ამ შემთხვევას და კოლაუ ხელებს იკაპინებს, ერთი მანახეთ ის ადვოკატი, ცხვირ-პირი უნდა დაეუმტვიროო.

გვეტაძე (კოლაუს): კაფე „საჩაიეში“ იყავი?

კოლაუ: არა, მოხდა რამე?

გვეტაძე: პაოლომ თავისი დარიანული ნაიკითხა და დასცხო, არული, არული კუდიანებსო!

პაოლო: ის ადვოკატი მაინც ვერ დავადუმე და...

კოლაუ: სად ვიყავი, ვაჩვენებდი სეირს.

ტიციანი: კიდევ კარგი, შენ არ იყავი, თორემ იქ შენი გაშვებების თავის ვის ექნებოდა. ისე, რომ იცოდე, ისევ კიტა აბაშიძემ დაგვიცვა...

პაოლო: ადვოკატებს პოეზიისა არაფერი გაგეგებათ! ლექსებს იმიტომ ვკითხულობ, თქვენნაირ ხალხს რომ მივაფურთხო!

ადვოკატი, ჩასუქებული, კოტიტა კაცი კი ატყდა, პოლიცია გამოიძახებთ, პოლიციაო! ჰოდა, ისეთი ჩოჩქოლი ატყდა, რომ ვალერიან გაფრინდაშვილმა გამოიღო თავი, ბატონო ადვოკატო, თქვენ, როგორც ჩანს, ნამდვილი სკეპტიკოსი ბრძანდებითო! და ის ახლა ამაზე გადაიარა, ვინ არის სკეპტიკოსი, ვიგინდარებო, სასამართლოში გირივლებთო! პაოლოს ჯოხიც კი მოუღერა, დამსწრე საზოგადოებას კი მიმართა, ყველანი მოწმებდა იქნებით დაბარებული წიგნის სასამართლოში!

მერე ამ ადვოკატს დამსწრე საზოგადოებაც აჰყვა — აქედან გავაძევოთ ეს ხულიგნები — დაინყეს ყვირილი!

ამასობაში კიტა აბაშიძემ სიტყვა ჩამოართვა ყველას და დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო: ეს ყოველთვის ასე ხდებაო, როგორც კი ახალი მიმართულება შემოდის ლიტერატურაში, ძველი არსებული ლიტერატურა ბრძოლას უცხადებს ამ ახალ მოვლენას და საქმე მიდის იქამდე, რომ ძველი მიმართულება სასტიკად მარცხდება და ახალი მოვლენა სავსებით იმარჯვებს ამ უკანასკნელზე. ახლაც ამას უნდა ველოდოთ. ეს ახალგაზრდობა გაიმარჯვებს და მოწინააღმდეგეები დამარცხდებიანო!

— ჰო, აი, ასე დავინყეთ და... როგორ დავასრულეთ?!

— რაც იყო, იყო! მორჩა ის სიცოცხლე!

აი, რა დრო იყო — დრო, რომელიც ასე უღმობლად მიიღია, ჩამოიცალა, როგორც ქვიშა საათი...



იყო და არა იყო რა...



ვ.გ.: კომბლე ხომ იმ კომბლებს მხოლოდ მაშინ იყენებს, როცა მის ცხვრებს დაჩაგრავენ. ცხვრებმა ხომ მგელიც გააფრთხილეს: «ვინც ჩვენ შეგვჭამს, თავში ჩასცხვებსო». მგელი თუ არ შეჭამდა ცხვრებს, მაშინ კომბლეც მას არაფერს დაუშავებდა. ამიტომ კომბლეც გააზრება მოძალადედ არ შეიძლება და არც ბავშვები აღიქვამენ მას ასეთად. ის კეთილი პერსონაჟია.

რ.ჩ.: „კომბლეს“ სხვა ვერსიაც არსებობს, რომელიც ისე სრულდება, რომ კომბლეს მდინარიდან გამოჰყავს ცხვრები, და არა მარტო თავისი, მთელი ფარა მოჰყავს. ასე რომ, მის მოხერხებულობაზეც შეიძლება ლაპარაკი.

— რა არის მთავარი ზღაპარში „რწყილი და ჭიანჭველა“? ის მხოლოდ თავდადებულ მეგობრობას გამოხატავს თუ შესაძლოა მისი სხვაგვარად გააზრებაც?

რ.ჩ.: რწყილი, რომელსაც უნდა, თავის გაჭირვებაში ჩაჯარდნილ მეგობარს დაეხმაროს, მიდის ლორთან, მუხასთან და ასე შემდეგ. ისინი კი ეუბნებიან: შენ რომ ეს არ გაგიკეთებიაო?! ანუ წესი არ შეგისრულდება, დაგვიწყნარაო. არის სხვა მსგავსი ზღაპარიც: ერთ მეგობარს მთა დაემხო მთა თავზე და მეორე მეგობარი ხან ვისთან მიდის და ხან — ვისთან დახმარების სათხოვნელად. ბოლოს ღმერთთანაც მივა. ის კი ეუბნება: სანთელი რომ არ დაგინთიაო?! ესე იგი, შესასრულებელი წესი არ შეგისრულდებაო. შემდეგ ნავა ფუტკართან, სანთელს იბოვებს, დაანთებს და ყველაფერი კეთილად დამთავრდება. ასეა „რწყილი და ჭიანჭველას“ ზღაპარშიც. მას არ ეუბნებიან, რამეს არ მოგცემთო, უბრალოდ ვალდებულების შეუსრულებლობაზე მიუთითებენ.

— გაცვლა-გამოცვლაც არ უნდა იყოს ჩვენთვის უცხო, თუნდაც რაღაცის მოთხოვნაზე იყოს საუბარი. ჩვენს სოფლებში ადრეც ხომ ასე ხდებოდა: ერთი მისცემდა კვერცხს და მეორე კარტოფილს, ან სხვა რამეს, რაც თავად ჰქონდა. დღესაც უმთრჩენილა მაღალმთიან სოფლებში ასეთი გაცვლა.

ვ.გ.: ამ ზღაპარში მთავარი მაინც რწყილის თავდადებაა, ყველა დანარჩენი — საშუალება. რწყილს, ამ არარაობას, არ ბეზრდება აქეთ-იქეთ ხტუნვა და ბოლომდე იბრძვის მეგობრისთვის. მთელი ბუნება მომზადებულია ჭიანჭველას გადასარჩენად.

ვ.გ.: „რწყილი და ჭიანჭველას“ თემაზე ახალი ზღაპარი მოვიგონე, „ჭიანჭველა და რწყილი“ დავარქვი. შევატრიალე სიუჟეტი. აქ რწყილია დაზარალებული და ჭიანჭველას ზურგით მიჰყავს მეგობარი. გზაზე მას უამრავი ვინმე ხვდება (კოლო, ხოჭო და ასე შემდეგ), ყველა ურჩევს, რომ დავას ვას რწყილი ძირს და თვითონ წავიდეს თავის გზაზე, მაგრამ ჭიანჭველა მაინც გადაარჩენს მეგობარს. მას ფუტკარი დაეხმარება და ჯადოსნურ მაღამოს მისცემს. ბავშვებისთვის ძალიან სახალისო აღმოჩნდა ეს ვერსია.

ვ.გ.: მეტრლინის „ჭიანჭველების ცხოვრებაში“ ასეთი დაკვირვება აქვს: ინსტიქტით მოქმედი ჭიანჭველების კოლონა მიდის, ნაწილი იხოცება, დანარჩენები კი მაინც განაგრძობენ სვლას. მაგრამ აღ-

მოჩნდება ერთი, რომელიც მოასულიერებს სულთმობრძავს, ზურგზე მოიკიდებს, ნაიყვანს, გამოკვებავს თავისი სხეულის მარაგით და ფეხზე დააყენებს. ავტორმა ამ არსებას გულმონყაულ სამარტული უწოდა. ჭიანჭველას ინსტიქტი ასეთ ქმედებას არ ითვალისწინებს, მაგრამ აღმოჩნდება ერთი, რომელიც აუქმებს ინსტიქტს. ყველას თავის გადარჩენის ინსტიქტი აქვს, ეს ერთი კი სხვას გადაარჩენს. მგონი, რწყილიც ეს არის ჩვენს ზღაპარში.

— ზღაპარს ძალიან საინტერესო დინამიკა აქვს, რაც ბავშვის ყურადღებას პროცესზე წარმართავს. აუცილებლად უნდა განმეორდეს რაღაც სამჯერ, მოლოდინი გამოინვიოს ბავშვში, ინტერესი გაუღვივოს...

რ.ჩ.: სამჯერ რაღაცის გამეორება აძლევს რიტმს ზღაპარს, რასაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ზღაპარს რომ რიტმი გამოეცვალოს, ის ამბავი გახდება და აღარაფერი იქნება. არც ბავშვს მოეწონება. ზღაპარს ხომ რიტუალური დანიშნულება ჰქონდა: ჰყვებოდნენ კორკოტის ხარშისას, მიცვალებულთათვის ღამის თენებისას, ძილის წინ, ქორწილში. ეს რიტუალური სამმაგობის პრინციპი ისეთ რიტმს აძლევს ზღაპარს, რომ მას დიდი ზეგავლენა აქვს ბავშვზე და, საერთოდ, საზოგადოებაზეც.

ვ.გ.: ეს სამჯერ გამეორება რეფრენით მიჰყვება ხოლმე ზღაპარს და გარდა იმისა, რომ რიტმს აძლევს, იმასაც გამოხატავს, დაბრკოლებები არსებობს და ადვილად აბრაფერი მიიღწევა. ერთხელ, ორჯერ და მესამედ უკვე შედეგი მიიღება. სამჯერ ცდა არის ამისთვის საჭირო.

— რადგან ზღაპრის თხრობის რიტუალზე ჩამოვარდა ლაპარაკი, მის მნიშვნელობაზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა. სხვა რა ტრადიცია არსებობდა კიდევ?

რ.ჩ.: ზღაპრის მოყოლა არ შეიძლება ზაფხულში. ზამთარში ბუნებას სძინავს, ამიტომ ზღაპარსაც ზამთარში ჰყვებიან. ასევე ღამით, ძილის წინ. მითაც ღამე ჰყვებიან. როცა ზღაპარს დაძინებულთან ან მიცვალებულთან ღამისთევისას ჰყვებიან, ამით ხელს უწყობენ მის აღდგომას, კვლავ გამოღვიძებას. ზამთარში ჰყვებიან, რომ გაზაფხული მოვიდეს, ბუნებამ გამოიღვიძოს. მითოსური გაგებით, დაძინებული იგივე გარდაცვლილია. ზღაპრის თხრობა ხელს უწყობს მის გაცოცხლებას-გადღვიძებას, რომ მართლა აღდგეს, რომ მართლა გათენდეს...

რაც მთავარია, ბავშვებს ყველაფერი სწორად ესმით და ზღაპარი დადებით გავლენას ახდენს მათზე. ზღაპარი აწვითავს ბავშვს ფანტაზიას, ეთიკურ და ესთეტიკურ გრძნობას, კაცთმოყვარეობას, შრომის და სწავლის სიყვარულს, გამარჯვებისკენ სწრაფვას, სამართლიანობის, იუმორის გრძნობას, რწმენის ერთგულებას, მხატვრულ აზროვნებას, აზრის ლაკონურად გადმოცემის უნარს, უმტიკივებს ბავშვს მომავლის რწმენას, ანიჭებს სულიერ სიმშვიდეს.

ვ.გ.: ზღაპარმა ყველა ფორმაციას გაუძლო და, იმედია, კომპიუტერიზაციასაც გაუძლებს.

საუბარს უძღვებოდა თამარ იაშვილი

თავისუფალი ნება შესაძლებელია იქ, სადაც ინდივიდუალობა არ იმარხება, არ იჩაგრება...

ვახტანგ კოტეტიშვილი

დახვრეტის ოქმი: დახვრეტილ იქნა 1938 წლის 17 იანვარს სამეულის სხდომის გადაწყვეტილებით.

მორიზოვი

მასხანბ კომპიტიშვილი — კაცი-ლეგენდა, სტუდენტების თავყვანისცემით, პატივისცემითა და სიყვარულით გარემოცული პროფესორი, ნაყოფიერი შემოქმედი, საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი, ენამჭვერი ორატორი, მრავალმხრივი ნიჭით შემკული ულაზარესი ვაჟკაცი. შუაპროვარი, უტეხი პატრიოტი და 1937-ის ზვარაკი.

ყოველივე ეს, უღმერთოდ განადგურებული ინტელიგენციის რეაბილიტაციამდე, ბავშვობიდანვე მსმენოდა დედისაგან, რადგან სტუდენტობაში ბევრჯერ დასწრებია მის ლექციებს (თუმც ბიოლოგი იყო); ისიც ვიცოდი, რომ დედის სიყვარული მეგობარი დედა ელენე გოგოძე, თანაკურსულ ფილოლოგთა დარად, აღმერთებდა ვახტანგ კოტეტიშვილს, მონაწილეობდა მის მრავალრიცხოვან ექსპედიციებში და ბაძავდა კიდევ მას — ბიჭურად შეჭრილი თმით თუ განუყრელი ბანტიანი ყელსახვევით.

ინტერესს ამ დიდი მოღვაწისადმი ისიც უწყობდა ხელს, რომ მისი ვაჟი, მამის ღირსეული მემკვიდრე, დაუვიწყარი ვახუშტი კოტეტიშვილი — პოეტი, მთარგმნელი, მეცნიერი, მოგვიანებით, ვახტანგის საქმის გამგრძელებელი — ჩემს სკოლასთან ახლოს, ობოლადის (ახლანდელ ვახტანგ კო-

ლალი ავალიანი

ქართული კულტურის დაცვისა და ამაღლებისათვის მებრძოლი

ტიტიშვილის) ქუჩაზე ცხოვრობდა და, არცთუ იშვიათად, სხვა „დიდ“ ბიჭებთან ერთად, სტუმრობდა მაშინდელ I კლასს სკოლას, მისი ტრფობის იმხანად გაუზიარებელი ობიექტის უმშვენიერესი მანანა ხიდაშელის გამო. ვახუშტი მოვიდაო, დაირხედა ხმა და ცნობისმოყვარე უმცროსკლასელები კისრისტეხით გამოივრდოდით მის სანახავად.

ვახტანგ კოტეტიშვილმა სიცოცხლეში რამდენიმე წიგნი გამოსცა: „შავი წიგნი“ (შოი არაგვისპირელის შემოქმედებაზე, 1918), „უოლტ უიტმენი. პროლეტარიატის პოეტი“ (1921), „ალექსანდრე ყაზბეგი და მისი ავტორობის საკითხი“ (1925), XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორია სამ ნაწილად (1925-1927), „ხალხური პოეზიის“ I ტომი (1934); რეაბილიტაციის შემდგომ გამოქვეყნდა „ქართული ლიტერატურის ისტორია. XIX ს.“ (1959), „ხალხური პოეზია“ (1961), „რჩეული ნაწარები ორ წიგნად“ (1965-67) და სხვა წიგნები. საბჭოური გამოცემების უმრავლესობა სახეცვლილი ან შეკვეცილი იყო, ის ვერ წარმოგვიდგენდა ვახტანგ კოტეტიშვილის შემოქმედების სრულ სურათს. ეს ხარვეზი მნიშვნელოვანწილად გამოსწორდა მისი „წერილებით“ (2016, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი).


„ამ საქმის სამომავლოდ გადადება უკვე შეუძლებელი იყო“ — წერს ნონა კუპრეიშვილი, „წერილების“ შემდგენელი, წინასიტყვაობის და კომენტარების ავტორი. მან დიდი შრომა გასწია, როცა თითქმის ექვსასვერდიან წიგნში თავი მოუყარა ვახტანგ კოტეტიშვილის ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი მიძღვნილ თუ პუბლიცისტურ სტატიებს, პირად წერილებს, დოკუმენტებს.

საბჭოურ პერიოდში გამოქვეყნებული ტექსტების რეპუბლიკაცია კუპრეიშვილის გარეშე თავისთავადაც ღირებულია, ამას ერთვის 10-20-იანი წლების პერიოდიკაში გაბნეული, აგრეთვე, მუხუშუმებსა და არქივებში მოძიებული, არცთუ იშვიათად, გვარიანად შელახული მასალის გამოქვეყნება — სათანადო კომენტარებითა და შენიშვნებით.

დღევანდელი თვალსაწიერიდან ვახტანგ კოტეტიშვილის ცხოვრება, შემო-

ვახტანგ კოტეტიშვილი, აღიარებული თვალსაზრისით, „რენესანსული“ შემოქმედი, მკითხველის წინაშე წარსდგება განსხვავებული რაკურსით, რაც, შესაძლოა, უცნობი იყოს სპეციალისტთა ვიწრო წრისთვისაც.

მის ადრინდელ, სტუდენტობისდროინდელ სტატიებში (ზოგი მათგანი არ დაბეჭდილა, მხოლოდ ხელნაწერებია შემონახული), ახალგაზრდული მაქსიმალიზმი, რადიკალიზმი ჭარბობს, რაც ერთ დროს, უცნობი ავტორის მიმართ უნდობლობის სანინდარი გახდა. კრებულის პირველივე წერილი „შავი სიტყვა“, რომელიც ვახტანგ კოტეტიშვილმა დორპატიდან ვურნალ



„განათლებას“ გამოუგზავნა 1916 წელს — არ დაბეჭდილა. ეს არც არის გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ, რომ ავტორმა ცალკერძ რამდენიმე ჟურნალს („განათლება“, „თეატრი და ცხოვრება“, იუმორისტური პერიოდიკა), ცალკერძ კი თითქმის მთელ იმდროინდელ მწერლობას „გადაუარა“.

სამაგიეროდ, მრავლადგაბნეულ პუბლიცისტურ პასაჟებში ვხედავთ ნიჭიერი მწერლისა და მხურვალე გულის პატრიოტის ზოგიერთ ისეთ მოსაზრებას, დღესაც რომ არ დაუკარგავს აქტუალურობა: „ირგვილი სილატაკის სუნი ტრიალებს. ყველგან სიმცირე გვწვავს თვალს... სიმდიდრე ვერ შეგვიჩვევია. ხვავი ჯერ ვერ გვინახავს. გვეტყვიან, ქართველი სულით არის მდიდარიო. არ გამოვეყვამათები. მხოლოდ შევნიშნავ კი, რომ მათ სანუგეშო სიმდიდრეს ჯერ ფორმა ვერ უნახავს...“

ჩვენი არსებობის უხამსობამ ბევრში გააღვიძა სურვილი სამშობლოს საკეთილდღეოდ მოქმედობის... მაგრამ ხმობილთ შორის რჩეულნი მცირედ არიან. არარჩეულთათვის კი ჯერ კარები ვერ მოგვიხურავს. ჩვენ შრომა გვეწყურია ძველთაგანვე, და როგორი? ამ კითხვაზე ფიქრისათვის საკმარის ვერ მოგვივლია. მეორე მიზეზი კი შიშია. კარგა ხანია მკაცრი სიტყვა დაგვეკარგა. გამოუძმებულმა შიშმა მოგვიტეხა რაინდი სული“.

„ვახტანგ კოტეტიშვილის არქივის შესწავლისას გაირკვა, რომ მას სტუდენტობისდროინდელი ხელნაწერები კრებულეზად აუკინდავს, რომელთა ფრაგმენტებლაც შემორჩენილი“ (ნონა კუპრეიშვილი).

წერილები მეტი სიმარჯვისათვის (რაც კონცეპტუალურადაც გამართლებულია) თემატურად არის ერთმანეთისაგან დაშორიშორებული: 1) ლიტერატურა. კრიტიკა. ხელოვნება; 2) საზოგადოება. პოლიტიკა; 3) გაზეთი „ქართული სიტყვა“; 4) პირადი წერილები; რასაც თან ერთვის 1937-38 წლებით დათარიღებული, რამდენიმე ახლადმოძიებული სულისშემძვრელი დოკუმენტი.

დღევანდელი თვალსაწიერიდან ვახტანგ კოტეტიშვილის ცხოვრება, შემო-



დასასრული

სტეპანი ორივე ხელით ჩაეჭიდა სკამის კედლებს... იცოდა, რომ ეს ვასკა ასე უბრალოდ არ წავიდოდა.

ქუჩაში ზოდს მიყვარდნო და დიდხანს ვერ ეგებოდა გონს.

„ეს როგორ?!“ — ფიქრობდა იგი. საში დღე სტეპანი დარეტიანიებული დადიოდა.

ერთხელაც, საღამოს, სტეპანმა თავის ქრომის ჩექმები გაილაპლაპა და გაეშურა... ელოჩკასთან.

ამ დღეებში გახდა; თვალეში სერიოზული, ღრმა ნაღველი ჩაუდგა.

— რა გემართება? — ჰკითხა მამამ.

— ისე... — სტეპანმა ჩექმით გასრისა ნაძვეი და ისევე პაპიროსის ამოსაღებად ჩაძვრა.

ამ დროის მანძილზე ელოჩკა ერთხელაც არ დაუნახავს.

მეოთხე დღეს სტეპანმა მამას განუცხადა:

— ცოლი უნდა მოვიყვანო.

— ჰოო? ვისი მოყვანა გინდა? — დაიტერესდა ეგორ სევერიანინი.

— იმის... ახალმოსულის... აღმრცხველის... — ჩუმად უპასუხა სტეპანმა.

ეგორ სევერიანინი ჩაფიქრდა.

— იცნობ?

— ისე რა... — სტეპანი შეიშშუშუნა, — არა.

— მე მაჭანკლად არ წავალ, — მტკიცედ განაცხადა ეგორმა.

— რატომ?

— არ მინდა, ამ სიბერეში სირცხვილი ვჭამო.

— დამიხედეთ, ეს როგორი პრინცი გამომიჩინა: სამაჭანკლოდ არ წავა თურმე.

ეგორ სევერიანინი უკმაყოფილოდ მოიღუშა.

— ცხადია, შემძლია წავიდე, — დაიწყა მან, — მაგრამ ეგაა, რომ... ფეიქრობ, არ გამოგყვება.

— გამოყვება! — თქვა ბაბუა სევერი-

ანმა, — ამისთანა ბიჭს ნებისმიერი გამოყვება.

— რატომ ფიქრობ, რომ არ გამოგყვება? — იკითხა სტეპანმა.

— ეგ ხომ ქალაქელია... ეშმაკმა იცის, იმით რა უნდათ.

— შენ თვითონ ხარ ჩამორჩენილი, ეგორ, — ისევ ჩაერთო სევერიანი, — ახლა ამას არ უყურებენ.

სტეპანმა ამჯერად დაქარგული პერანგი ჩაიცვა.

— მობრძანდით, გეთაცვა, დაბრძანდით.

ეგორ სევერიანინი გაიარა და დაჯდა, თან ვასკას უყურებდა.

— დასხედით, რატომ დგახართ! — მხიარულად დაიძახა ელოჩკამ.

— რანაირად კერავენ, ტუტუცები! — ბრაზობდა ეგორი.

სტეპანმა თმა გაინორა, შუა ოთახში ვასილი შეკმინი

სტიოპკას სიყვარული



დადგა და დაფიქრდა, საკუთარი თავისთვის კიდე რა ექნა.

— ჰალსტუხი გაიკეთე, — ურჩია ბაბუა სევერიანინმა.

— დაქარგულ პერანგს არ უხდება, — აუხსნა სტეპანმა.

— რეგორც იქნა, მორჩენე სამზადისს.

ეგორ სევერიანინმა კისერზე შემოიდო უზარმაზარი ხელისგული და შეფიქრიანებულმა შეხედა მამას.

— ნახევარლიტრიანი წავიღო თუ არა? ახლა ყველანი ახლებურად ცხოვრობენ, ვერ გაიგებ ვერაფერს.

— ზვითთნა, — ურჩია მან, — თუ დაგჭირდება, თან გექნება.

— ნავიდნენ.

— დღე იყო მზიანი, კამკამა. ნაკადულები დიოდნენ.

— უხმოდ მიდიოდნენ. გულმოდგინედ უვლიდნენ გვერდს გუბებებს.

— უზარმაზარი სახლი ჰქონდათ კუქსინებს აშენებულნი.

— პირველ ორ ოთახში არავინ იყო. ეგორ სევერიანინი დანადგლიანდა.

— მამა-შვილი ერთმანეთს გადახედა, და ოთახისკენ გაემართნენ.

— დიახ! — გამოუპასუხნენ ოთახიდან.

სტეპანს მტკივნეულად აუფართხალდა გული.

ეგორ სევერიანინმა კარი ნახევრად შეაღო.

— ვის სვამენ. ვასკა უპიჯაკოდა, აბრე-შუმის ყვითელ პერანგში.

— ელოჩკა.

— ჩაის სვამენ. ვასკა უპიჯაკოდა, აბრე-შუმის ყვითელ პერანგში.

— ელოჩკა მსუბუქად წამოდა, სტუმრებს სკამები დაუდგა.

— ელოჩკა მსუბუქად წამოდა, სტუმრებს სკამები დაუდგა.

— ელოჩკა მსუბუქად წამოდა, სტუმრებს სკამები დაუდგა.

— ელოჩკა მსუბუქად წამოდა, სტუმრებს სკამები დაუდგა.

— ელოჩკა მსუბუქად წამოდა, სტუმრებს სკამები დაუდგა.

— ელოჩკა მსუბუქად წამოდა, სტუმრებს სკამები დაუდგა.

— დაიგვიანე.

— დაიგვიანე.

— დაიგვიანე.

— დაიგვიანე.

— დაიგვიანე.

— დაიგვიანე.

— დაიგვიანე.

— დაიგვიანე.

— დაიგვიანე.

— დაიგვიანე.

— დაიგვიანე.

— დაიგვიანე.

— დაიგვიანე.

— დაიგვიანე.

— დაიგვიანე.

— დაიგვიანე.

— დაიგვიანე.

— დაიგვიანე.

— დაიგვიანე.

— დაიგვიანე.

— დაიგვიანე.

— დაიგვიანე.

— დაიგვიანე.

— დაიგვიანე.

— დაიგვიანე.

— დაიგვიანე.

— დაიგვიანე.

— დაიგვიანე.

— დაიგვიანე.

— დაიგვიანე.

— დაიგვიანე.

— დაიგვიანე.

— დაიგვიანე.

— დაიგვიანე.

— დაიგვიანე.

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი
რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე
ISSN 2346-7940
9 772346 794004